



არსენალი

საინჟინერო-ტექნიკური ცენტრი

№2 (149). 20 იანვარი - 2 თებერვალი, 2012 წ. სახმელეთო-აerialიზაციის ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**„ბანკომატის ჯარის“
დასასრული – არმიას
ისევ განუვლი
ჯარისკაცებით შეავსებენ?!**

**Кавказ-2012 –
ღერუნიის გაჭრა
საქართველოზე
სომხეთისკენ**



**მოტოციკლისტები
ირანული ატომური
ბომბის ნინაფაღაბ**

**მინისქვეშა
აეროდრომები –
მითი თუ სინაგვილა**

ქვიპროსი — ორად გაყოფილი ქვეყნული



24



ავტომობილები ჯავახუნა

41




ავიაცია და ფრის ენერჯი

47

გერმანული ორბიტის საგარეო ურთიერთობების

30



XXI საუკუნის გერმანული

9



HK4 — „გერმანიის სამხრეთი საგარეო ურთიერთობების“

53



სარჩევი

- 4** სახმადრრო სინსლეუბი **კალეიფოსკოი**
- 7** „ბანკომაგის ჯარის“ დანსრული – კართულ არმის
ილავ ბანვეული ჯარისსანსებით დაკარომაგეპებანეა? **არმია**
- 9** XXI საუკუნის გეოგრაფიები **დივარსიანი**
- 10** კავკასიური მოვლანენის მომონილვა **რავიონი**
- 12** Kavkaz-2012 – დეკაფენის ბაჟრა
საპარტივალუზა სონსებითსანე **საფრთხე**
- 14** მოგომონილსავი ირანული ამომავრი გომგის ნინადალვა **დივარსიანი**
- 15** რუსული „გორნადო“ „გრაფის“, „ურბანისა“
და „სპარჩის“ ჩანანსეულვალად **სინსლე**
- 19** გეგმვედრი ბრძოლა **ტაჟიკია**
- 21** რუსეთ-საპარტივალო: ჯავაშომანისი ამონიი ნრა ინსეა? **საიდვალო ფორმეი**
- 24** კვიარონი – ირად გეომონი კინსეალის ნარსული,
ანსეო და მომავალი **კირიონიანი, კოფლინიანი, იონანი**
- 30** ამერიკული ჯავაშგენინსა – გეორა მსოფლიო იონის
პერიოდის ტანსეი **ტანსეონებელი ქვეყნები**
- 35** ზემონებელის იონარსიანი **სავსადანსეოფი**
- 38** მიონსევა საავიანიო გეზები **სავსოგიანი**
- 41** ამომგრაფიები ჯავაშნე **იონის გეომგინი**
- 44** „ნითელი ნაოლონი“ **ამერიკის ნარსული**
- 47** ავიანი და გუნის ენარები **ნიონსიანი ტანსეოფი**
- 51** ენე I **100 დიდი მხადარსეიანი**
- 53** HK4– „კეკეა უნდ კონის“ პირსული იონსეოლავი **„არსნალის“ ირანის მალავი**

ჩეკეაშიონსა

2011 წლის მიწურულს მე-
ოთხთმეტე, ხოლო 2012 წლის და-
საწესში კი მეოთხთმეტე ქართველი
სამხედრო დავგეულვა აღანეთში.
თითქმის ათასკაციანი ქართული
სამხედრო კონტინგენტისთვის ეს
არცთუ ისე ცოტაა. მით უმეტეს,
რომ თვდაცვის უწყება კვლავ მალა-
ვს აღანეთში დაჭრილთა ზუსტ რი-
ცხეს. ამერიკული წყაროების მო-
ნაცემებით, 2011 წლის მარტისთვის
უკვე 38 დაჭრილი გეგევა აღა-
ნეთში, რაც წლის ბოლის კვლავ
გაიზარდა. ხელისუფლება ამ წელს
კვლავ აპირებს აღანეთში ქართუ-
ლი სამხედრო კონტინგენტის მნიშ-
ვნელოვნად გაზრდას, რაც ასევე გა-
ზრდის დაჭრილთა და დაღუპულთა
რიცხვის მომატების ალბათობას.
რატომ უნდა იღუპებოდნენ ქართვე-
ლი მებრძოლები შორეულ აღა-
ნეთში, როდესაც მათი სამშობლოს
ნაწილი სხვას აქვს ეკუთრებული?!

შიაგარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
ბასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩანანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ფურადღება!
გამოცემაში „არსნალი“
და მიიღეთ 306,
ორ კვირიანი მონემლი!
ტელ: 238-26-74; 238-26-73


რედაქციის დასეითსაგად
მასალავის გადგამტად
პარკალული

გადამეფულია დასანამტად
16.01.2012

გაზეთი „კვირის პალიტრის“
დაგატმავ ©
რედაქციის მისანართის:
თბილისი, იონსეიის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარედაქციო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvrirpalitra.com
ფურნალი განომის
ორ კვირიანი მონემლი
პარსამეის

კიბეროპი იაპონიას ეპოქაა



იაპონელმა სპეციალისტებმა კიბერარაღის პირველი ნიმუში შექმნეს. ეს ვირუსია, რომელიც კიბერსფეროში თავდასხმის წყაროს აღმოაჩენს და გააუვნებლებს.

კიბერარაღის შექმნაზე კომპანია Fujitsu-ს სამი წელი და 179 მილიონი იენი (2 მლნ 300 ათასი დოლარი) დახარჯა. ეს კომპანია უშუალოდ კომპიუტერულ ვირუსებსა და კიბერთავდასხმის მონიტორინგისა და ანალიზის სისტემებზე მუშაობს.

ამ დროისთვის ე. წ. კიბერარაღს საკუთარ არსენალში აშშ და ჩინეთი ფლობენ, რომლებმაც, სავარაუდოდ, რამდენჯერმე გამოიყენეს კიდევ ის. რაც შეეება იაპონიას, ქვეყნის ხელისუფლებას კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მოუწევს, რადგან იაპონური კანონები კომპიუტერული ვირუსის დაზარალებას და მით უმეტეს, გამოყენებას, დანაშაულად განიხილავს.

ახლა იაპონელთა ვირუსი „შეზღუდულ სფეროში“ გამოცდება, რათა მისი შესაძლებლობები და გამოყენების პოტენციური სცენარები გადამოწმდეს.

ჩინური სუბპერინჟინი გუპუნი ლაიის პოულ რქანას ესოი

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები თავის წყალქვეშა ფლოტს გამაღებთ აახლებს. ამჟამად უკვე, სამოცამდე ჩინური წყალქვეშა ნავი საბრძოლო პატრულერებაში სულ უფრო მეტ დროს ატარებს, რაც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში გუპუნის გაზრდის დემონსტრირებასთან ერთად ახალი სამხედრო ტექნოლოგიების ერთგვარი „პრეზენტაცია“ არის.

მეორე მხრით კი, წყალქვეშა ჩინელთა გააქტიურებამ ამერიკელების საშუალება მისცა, კარგად შეესწავლათ მათი სუბმარინების მახასიათებლები. ჩინური წყალქვეშა ნავების მასშტაბური პატრულერების დაწყებით აშშ-ის მხვერავ-თეოთფრინავეებს, წყალზედა თუ წყალქვეშა ხომალდებს შინა

გაუჩნდათ, რომ გაცივთ პოტენციური მჭირნაღმდეგის სუბმარინების ხმაურის პარამეტრები.

აღიზნადა, რომ ჩინელთა მრისხანე წყალქვეშა ფლოტი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებს იმაზე ნაკლებად ემუქრება, ვიდრე ეს აქამდე ჩანდა, — სახალხო რესპუბლიკის წყალქვეშა ნავები საკმაოდ ხმაურითი ყოფილა. არადა, წყალქვეშა ნავის მთლიან ღირებულებას ხომ სწორედ ისაა, რომ ის მხელად აღმოსაჩენი იყოს?

თუმცა ახალი ჩინური სუბმარინების გამოყენება კონკრეტული პირველი ზონაში შეიძლება. ბეგრის სიმძლავრის ეს არეალი ხომალდიდან დაახლოებით 50 კმ-ით განისაზღვრება და მცურავ საშუალებათა, მათ შორის წყალქვეშა ნავს დიდ მანძილზე აღმოაჩენს.



ლეგენდარული განგსტერების იარაღს აუქციონზე გაყიდეს




თეიანთი „ხარება და გოგია“ ამერიკელებსაც ჰყვითოლენ — ქალი და მამაკაცი. განგსტერული წყვილი — ბონი პარკერი და კლაიდ ბეროუ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მთელ აშშ-ს აწანაწარებდნენ. ყაჩაღები სიცოცხლეს 1934 წელს, ლიზიანაში გამოასალმეს, თუმცა როგორც ზნორად ზდება ხოლმე, მათი სახელები უამრავ მხატვრულ ნაწარმოებში — სამეღერაში, კინოსა თუ მულტიმედიაკაციურ ფილმში (მათ შორის „მთფისონების ოჯახში“) უკვდავდნენ.

და აი, ლეგენდარული ბონისა და კლაიდის კუთვნილ იარაღს აუქციონზე გაყიდეს. ეს არის 45-კალიბრის Thompson M1921 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი და გლუვლულიანი Winchester M1897, რომლებიც 1933 წელს პოლიციამ განგსტერთა ადგილსამყოფიდან ამოიღო. იმ ოპერაციის დროს დამნაშავეებს მძიმე კაი შეძლეს, თუმცა იარაღი ადვილზე დარჩათ.

აუქციონზე გასაყიდად გამოსატანი იარაღის მფლობელები ოპერაციის მონაწილე პოლიციელებს, ვინმე მარკ ლეიბმორის მემკვიდრეები არიან, რომლებმაც 1973 წელს იარაღი შესანახად აშშ-ის პოლიციის მუზეუმს გადასცეს.

წყალქვეშა ნავი უპილოტო სფეროში აპარატებით სულ სხვაა



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები წლევანდელ სწავლებებში უპილოტო საფრენი აპარატების წყალქვეშა ნავებიდან გამოყენებას გეგმავენ, რაც უპილოტო საავიაციო სისტემების გამოყენების სრულიად ახალი კონცეფციაა.

პროცესი ასე გამოიყურება: წყალქვეშა მყოფი სუბმარინა როგორც კი მიუხელოდება მოწინააღმდეგის სანაირის ან ხომალდს, რაბიდან ნავის გადასაყურებელ კონტინერს უპილოტო საფრენი აპარატით გამოიტყორცვის. კონტინერის წყლის ზედაპირზე ამოსვლა კონტროლდება და წყალქვეშა ნავს იმ ადგილიდან უსაფრთხო მანძილით დაშორებისთვის დრო ექნება.

წყლის ზედაპირზე ამოსული კონტინერი ღუზით სტაბილიზირდება და ამის შემდეგ გაშვე-

ბი დანადგარი უპილოტო საფრენი აპარატ Submarine Launch Vehicle (SLV)-ს გაუშვებს.

SLV-ის უნიკალური მახასიათებლები (მათ შორის — ბომბით აღჭურვა) წყალქვეშა ნავებს ახალ შესაძლებლობებს უხსნის დახურვის წარმოებისა თუ ჯარების მხარდაჭერის დროს. წყალქვეშა ნავებს ყოველთვის ჰქონდათ მისისხანე იარაღი, მაგრამ მუდამ „ბრძობად“ რჩებოდნენ და მხოლოდ „სქიანით“ მოქმედებდნენ. ამიერიდან სუბმარინები წყალზემოთ სივრცეს შეხედული ზედვის არეალის მქონე პერისკოპით ერთად უპილოტო საფრენი აპარატების დანხარებულ გააკონტროლებენ. თანაც საკუთარი ადგილმდებარეობის გაცემის გარეშე წყალზედა და სახმელეთო სამაზნელსაც გაუშვებენ.

მომიჯინავეს ხმოვანი პოლიციური ფარი დაარსებს



ამერიკულმა კომპანია Raytheon-მა ახალი პოლიციური ფარი დააპატენტა. ფორმით ის ჩვეულებრივსგან არ განიზიარებს, თუმცა მისგან განსხვავებით, გამოსცემს ხმას, რომელსაც საპროტესტო აქციის ურჩ მონაწილეობა „დასჯა“ შეუძლია.

მსგავსი შემთხვევებისთვის, აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს პოლიციე-

ლები დიდი ხანია იყენებენ სხვადასხვა სახის აპარატებს, რომლებიც უსაბძორო ხმას გამოსცემენ. თუმცა Raytheon-ის ხმოვანი ფარი სხვაგვარად მოქმედებს, — ის დაბალი სიხშირის ბეჭის გენერირებას ახდენს, რომელიც ადამიანის სასუნეში სისტემაზე ზეგავლენას ახდენს და სუნთქვას აჩერებს. ფარის პატენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ის დისკომფორტსა და „დროებით უმოქმედობას“ იწვევს.

ახალი იარაღის მოქმედების არეალი რამდენიმე ათეული მეტრით განისაზღვრება, ხოლო ერთბაშად რამდენიმე ფარის ამოქმედება კი ეფექტს უფრო ზრდის.

პოლანდიის მუხანაქიდან ჩააპაჩიული თვითმფრინავი პოიპაკუს

ახალი წლის დადგომამდე ერთი კვირით ადრე ნიდერლანდების აღმოსავლეთით, ქალაქ არნემის საავიაციო ტექნიკის მუზეუმის ადმინისტრაცია გაოცდა, როდესაც დილით სამუშაო ადგილზე მისულს რეაქტიული გამანადგურებელი F-104 Starfighter-ი ტერიტორიაზე აღარ დახვდა, რომ დაეზუსტოთ, დია მუზეუმიდან გაუჩინარდა არა ნამდვილი საბრძოლო თვითმფრინავი, არამედ მისი მასშტაბის განახლებული ასლი, თუმცა ამბავი ყველა შემთხვევაში უწყველო და საინტერესოა.

მუზეუმის დირექტორი ედვინ ვან ბრეკელი გაოცებული კითხულობდა, როგორ შემდგომ ქურდობა 10 მეტრი სიგრძისა და ნახევარი ტონა სიმძიმის მოდელის უმრავლად გატანა. ვიშიემბედა, ვაითო, ჩვენი თვითმფრინავი უკვე ფერადი ლითონების მიმღებ სუბსტრატია „დახურდავებული“. მუზეუმის სხვა თანამშრომლები კი თავს ინოვაციებდნენ, ეტყობა, ვიდაც გაეგებურათ. ამ ვერსიას შემთხვევის ადგილზე დატოვებული წერილიც აქვარება, რომელშიც წერა: „გაფრინდა, შეეხედებით მომავალ წელს“.

პოლანდიის არის „მოცულია“ რამდენიმე კლუბი, რომლებიც ახალი წლის წინა დღეებში გართობის მიზნით ყველაზე დაუჯერებელ ქურდობას სწადან. მაგალითად, შარბან ქალაქ რეიდენში, კლუბ „უეზუხის“ წევრებმა მოიპარეს ძველი, რომელიც ველისიპაზედ მედარ დელოფელ ბეტრტიქსს ასახიერებდა. როგორც წესი, „მოგურადული ქურდობა“ ნაქურდალს თავიანთი დასახლებების ცენტრში დგამენ და ალუფთან ერთად ახალ წელს რიტუალთ ხვდებიან.

წერილის შინაარსიდან გამოდინარე, საფიქრებელია, რომ გამანადგურებლის გაუჩინარებამაც კლუბ „უეზუხის“ წევრთა ხელს უწყობდა და მუზეუმში იმდენი იყენებენ, რომ „ქურდობა“ თვითმფრინავს უკან მთელს დაუბრუნებენ.



ინგვანგში აბაომაქვილინგაპალი იარაღის კაზალოვი გამოქვეყნდა



პაციფისტური ორგანიზაცია Public Intelligence-ს საიტმა ინტერნეტში უკვე შზა და ასევე, ჯერ კიდევ პროექტის სახით არსებული არამომაკვინებული საბრძოლო საშუალებების კატალოგი გამოაქვეყნა. როგორც ამბობენ, კატალოგის შექმნაზე აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული, არამომაკვინებული შეიარაღების დეპარტამენტმა იზრუნა და მისი მიზანი ამ ტიპის იარაღზე არმიისა და ფლოტის მესვეურთა ყურადღების მიპყრობაა, რათა პენტაგონისგან პროექტების დაფინანსება კვლავც გაგრძელდეს.

წამონათვალში მრავლადაა ადამიანთა მასის დასაშლელი ლაზერული და სითბური გამოიხივების საშუალებები. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუში კი წყადქვეშ სამოსაფინებელი იარაღია — „იმპულსური თოფი“, რომელიც ბგერის ტალღით მტრის მფინთავებს კი არ კლავს... მათში მხოლოდ გულიწრვას იწვევს. 100-გვერდიან კატალოგში კიდევ უფრო ფანტასტიკური გამოგონებებსაც შეხვდებით. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ ლაზერის მეშვეობით მტრის თვითმფრინავის ფრთებქვეშ აეროდინამიკური ნაკადების დაწმობა შეესაძლებელია, რაც პილოტს სასწრაფოდ გეზის შეცვლას აიძულებს.

სხვათა შორის, ზემონახსენები დეპარტამენტი, როგორც სახსრების უახზროდ მზარდი უწყება, კრიტიკის ობიექტი არავრთვხის აღმოჩნდა. მაგალითად, 2009 წელს დეპარტამენტმა 386 მლნ დოლარი 50 პროექტს დაახარჯა, მაგრამ ახალი ტიპის იარაღის შექმნა მაინც ვერ მოახერხა.

გრიგანეთის პრია ლოლონის ოლიგიადას „კილიატი“ ლიხავს

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებაზე, სამართალდამცველთა ვარდა, 13 ათას 500 სამხედრო მოსამსახურე იზრუნებს.

სამინისტროს ინფორმაციით, ოლიმპიური თამაშებისას ლონდონში, გრიონის რაიონში სადესანტო შევეულმფერნშიდი L12 Ocean-ი, ხოლო დორსეტის სავრაფოს ქალაქ უეიმუთში კი უნიერსალური სადესანტო ხომალდი L15 Bulwark-ი დადგება.


ინგლისელი ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის აქტიურად გამოიყენებენ სამხედრო ტექნიკასაც, — ლონდონის საპერო სერვისებს გამანადგურებელი „ტრაიფრები“ დიცივენ, ქალაქის თავზე იფრენენ შევეულმფერნეიც. ამასთან, დიდი ბრიტანეთის არმია დედაქალაქის შემოგარენში „მიწა-პაერი“ ტიპის რაკეტებს განთავსებს.



კოსტიუმი-მოგონილი — რეიხვა და გეგენი ხარ

იმისათვის, რომ თავი ბეტმენად იგრნო, სულაც არაა საჭირო თვის შენილება, გრემის წასმა, რამდენიმე ტრიუკის ათვისება და ა.შ. ამერიიდან ერთადერთი, რაც

გჭირდება, ცოტაოდენი ლითონი და უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც კოსტიუმ-მოტოციკლე Deus ex Machina-შია გამოყენებული.



კოსტიუმ-მოტოციკლის შექმნაზე აშშ-ის არტდისაინის ინსტიტუტის „შემილიმა“ თანამშრომელმა ჯეკ ლონაკმა და მისმა თანაზრადეულმა იზრუნეს. „იამასას“ ლოგოტიპით დამშენებული კოსტიუმი ელექტრორუთაა აღჭურვილი და 3 წამში ითიქის 100 კმ/სი სიჩქარის განვითარებას შეაძლებლიანეთ, ხოლო მაქსიმალური სისწრაფე კი სთ-ში 120 კმ-ია.

მოკლედ, ამერიიდან ნებისმიერ მოხალსე გმირს ბეტმენის მსგავსად უშწოთა თუ სამკაროს გადარჩენა შეუძლია. რეალურად კი Deus ex Machina შთამბეჭდავი, მაგრამ ცოტა არ იყოს, სახიფათო კონცეფცია და მის ჩატებას ყველა ვერ გაბედავს. თუმცა, ერთხელ მოსინჯვის სურვილს მართლაც იწვევს.

„განკომაგონ ჯარის“ დასასრული — ქართულ არმიას ისევ განუვლი ჯარისკაცებით დააკოვალე მებრძოლები?



თავიდანვე ვიტყვი, რომ გამოითქმა „ბანკომატის ჯარი“ თავად არ მოგვეჩინოს და აქამდე არასოდეს გამოგვეყენებოდა, თუცა ეს ფრაზა ჩვენი მოგონილი ნამძღვლოდ არ არის და ბრიგადებში ითვლებიერებიან სწორედ ამ სიტყვებით არცთუ იშვიათად მიმართავენ კონტრაქტით მომსახურე კაბრალებს.

ჯერ კიდევ ათი წლის წინ, როდესაც შეიარაღებულ ძალებში დაიწყო კონტრაქტით სამხედრო მოსახსურეების მიღება, ხელისუფლება მაშინვე ალაპარაკდა პროფესიონალური ქართული არმიის შექმნას.

მართალია, მაშინ შეყარნდაძის ხელისუფლება იყო, მაგრამ „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა უფრო მეტად აიტაცეს ეს იდეა და გაჩაღდა „პროფესიონალური ქართული არმიის“ სახელმწიფო პიარი.

არადა, კონტრაქტით მომსახურეებით შეიარაღებული ძალების შეცვლა არმიის დაკომპლექტების ერთ-ერთი გზაა და მისი გათვება „პროფესიონალურ“ ჯართან შედგება.

შეკვირვება თუნდაც იმიტომ, რომ 1991-92 წწ-ებში ორწლიან საუღლებულ სამსახურში გაწვეულმა პირტიტყველა ჯარისკაცებმა ციხეზღლისა (1992 წ.) და აღზახეთის (1992-93 წწ.) ომებში ისეთი პროფესიონალიზმი და თვდაღება უჩვენეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ბევრ კონტრაქტით მომსახურე კაბრალსაც და სერჟანტსაც გაოცებდა.

1998 წლის გალის მოვლენებისა და 2004 წლის ცხინვალის ზაფხულის საბრძოლო მოქმედებების დროს შინაგანი

ჯარებისა და თვდაცვის სამინისტროს ჯარისკაცები ერთმანეთისთვის თავს წირაუდნენ და ბრძოლის ველზე დაჭრილებს და დაღუპულებს არ ტყუებდნენ.

ამით შემდეგის თქმა გვესრს: სამხედრო საუღლებული სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები, თუკი მოუვლი, სათანადოდ ჩააცმე, აღჭურვ და მოამზადებ, არც ერთ კონტრაქტით მომსახურეს არ ჩამოუვარდებია.

მიუხედავად ამისა, მაინც პროგრესულ ნაბიჯად ითვლებოდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი სწორედ კონტრაქტით მომსახურეებით იყო დაკომპლექტებული. ეს აჩნდა იმდეს, რომ მათ მეტი მოტივაცია (თუკინდ სულაც ანაზღურების გამო, რომელიც სამხედრო-საუღლებული სამსახურის ჯარისკაცის ყოველთვიურ ჯამაგირს ასჯერ აღემატებოდა) ექნებოდათ საბრძოლო სულისკეთების ასამაღლებლად.

ამხელა შესაგალი იმიტომ დაგვიჭირდა, რომ მთავარი ვითკათა, — კერძოდ, არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ამჟერადან ისე გაწვეული ჯარისკაცებით დაკომპლექტდება, ანუ ეუბრუნდები იმ წერტილს, საიდანაც დაიწყო, 2002 წელს, როდესაც ქართული არმიის ღობის წილს ჯარისკაცები შეადგენდნენ.

ამის ნიშნები გასული წლის შემოდგომაზე გაჩნდა, როდესაც „არსენალში“ ეწერებოდა, რომ თვდაცვის სამინისტრომ ითხჯერ განზარდა ახალწვეულითა რიცხვი, მაშინ, როდესაც ზოგიერთ წელს ერთი ჯარისკაციც კი არ გაუწვევია.

აკამდე ქართული არმიის ქვეითი ბრიგადების საბრძოლო დანაყოფები კონტრაქტით მომსახურეებით იყო დაკომპლექტებული. ერთი წლით გაწვეული ჯარისკაცები კი ლოგისტიკის სარდლობის ექვემდებარებოდნენ და ძირითადად საწვობებისა და საწვავის ბაზების გარეთა პერიმეტრს იცავდნენ „კალამანიკოებით“.

როგორც ახლა ირკვევა, წვეულებები უკვე ქვეითი ბრიგადების საბრძოლო დანაყოფებშიც გამოჩნდნენ.

საგარაოდოდ, დაგვემილია, რომ ქვეითი ბრიგადის მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი დარჩნება მთლიანად კონტრაქტით მომსახურეებით დაკომპლექტებული (მათ ალბათ, საზღვარგარეთ მისიებში გასაგზავნადაც გამოიყენებენ), დანარჩენი ორი ბატალიონი კი გაწვეული ჯარისკაცებით შევსება.

კვლევი კონტრაქტით აყვანილები დაგვიჩინან მძიმე საბრძოლო ტექნიკის გათვლებში, ხოლო ქვეითი ოცეულის (რომელშიც 42 მებრძოლია გაერთიანებული) დაახლოებით 30 ჯარისკაცი იქნება.

არმიის შერეული პრინციპით დაკომპლექტება (კონტრაქტი და საუღლებული გაწვევა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მიღებული პრაქტიკაა (მაგალითად, გასულ წლამდე ბუნდესვერის დაკომპლექტება სწორედ ამ შერეული წესით ხდებოდა, თუცა, ამჟამად საუღლებული გაწვევა დროებით შეჩერებულია).

პრობლემა ეს არ არის, პრობლემა ისაა, თუ რამ განაპირობა თითქოსდა



ავვისტოს ომმა კონტრაქტი მომსახურეებს დანაზა, ვის ჰქონდა მებრძოლი სული და ვის არა...

აწყოილი სქემის (როგორც თავდაცვის სამინისტრო უმტკიცებდა საზოგადოებას) ნაწილობრივ დამლა და არმიის ისევ გაწვეული ჯარისკაცებით დაკომპლექტებაზე გადასულა?

ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს. ერთ-ერთი მთავარი ფინანსური დეფიციტია. თავდაცვის ბუჯეტის დაფინანსება აღარ არის ისეთი პირობითული, როგორც 2008 წლის ავვისტოს ომამდე იყო. ეს გასაგებცაა, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე არ იმდენა იმის საშუალებას, მხოლოდ თავდაცვას 1-1,5 მლრდ ლარი გამოუყონ. გარდა ამისა, სამხედრო ბიუჯეტთან მნიშვნელოვანი წილი სწორედ პირადი შემადგენლობის სახელფასო და სამფინანსო (ავღანეთი) მუხლებზე იხარჯება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების უმადლეს ემფლონებში შეიძლება გადაწყვიტეს, რომ შეიარაღებულ ძალებში შექმნი რეზინით კონტრაქტი მომსახურით რიცხვი და ისინი სამხედრო-საყოფადო საშუალებული სამსახურში გაწვეული ჯარისკაცებით ჩაენაცვლებინათ. ფინანსური მოგება ნამდვილად იქნება, რადგან ჯარისკაცს 100-ჯერ(!) ნაკლებს გადაუხდან.

მეორე მიზეზი კი ის არის, რითაც ეს სტატია დევიწყით, — „ბანკომატის ჯარი“. სამხედრო დანაყოფებში ეს არცთუ სასიამოვნო ფრაზა ხშირად გაისმის, რითაც ოფიცრები კონტრაქტი მომსახურე კაპრალეების მიმართ თუიანთ უკმაყოფილებას გამოხატავენ და თვლიან, რომ მათი ნაწილი ჯარში საბრძოლველად კი არ, არამედ თუიდან თუემდე ბან-

კომატის აპარატთან ხელფასის ასადებად მიედი.

გვიანდა თუ არა ამის აღიარება, დღევანდელი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მოტყეცია არცთუ ისე მაღალია, როგორც გერწმუნებენ სახელმწიფოს მართული ტელეკომპანიები.

ეს მოტყეცია მანც იმ 700-800-ლარი ხელფასზეა დამოკიდებული, რასაც კონტრაქტი მომსახურე იღებს. ერთი მხრეც, ეს არ არის ისეთი თანხა, რომ ახალგაზრდა მებრძოლმა ხიფათით საუცე ცხოვრება აირჩიოს, მაგრამ რეალობა მწარეა, — ქვეყანაში უმუშევრობაა და კონტრაქტი ჯარში წასვლა ერთ-ერთი გამოსავალია, რომ ახალგაზრდამ თუი დააღწიოს სოფლის ორლო-

ბეში თუ ქალაქის ქუჩაში უაზროდ დგომასა და გაღლითებას თუ განარკობანებას.

შერეული პრინციპით — კონტრაქტითა და გაწვევით დაკომპლექტებულ საბრძოლო დანაყოფებში შეიძლება ახალი ტაიის პრობლემამ იჩინოს თუი.

თუად წარმოდგინეთ, ერთ ქვეით ოცეულში ნახევარზე მეტი გაწვეული ჯარისკაცია, დანარჩენები კონტრაქტით მსახურობენ. სწავლების დროს ისინი ერთნაირად იღლებიან, ხოლო საბრძოლო მოქმედების შემთხვევაში ანალოგიური საფრთხე ელით, მაგრამ ჯარისკაცია იღებს 5 ლარს, კონტრაქტით მომსახურე კი 700 ლარს. როგორ გვინათ, ეს 42-კაციან ოცეულში ააზღლებს საბრძოლო სულისკვეთებას?

თუი გაწვეული ჯარისკაცებით მართლაც დაკომპლექტეს ქვეითი ბრიგადები, მამინ უფრო საგარაულოა, რომ აზღანდელი ერთლიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახური მართლაც ორლიანი გაზღეს, რაზეც „არსენალი“ უკვე წერდა. წესით, ერთი წელი საბრძოლსა, რომ ქვეითმა ისწავლოს ბრძოლის ელექტრარული წესები, მით უმეტეს, თუი არ დაეკლება შედარებით რთული ჯგუფური იარაღის მოხმარება (თუმცა, საბჭოთა არმიამ, ორი წლის განმავლობაში ჯარისკაცები უპრობლემოდ ითვისებდნენ არა მარტო „კალაშნიკოვის“ ავტომატს, არამედ ჯგუშანტრანსპორტითორსა თუ ტანკის მართვას). მიუხედავად ამისა, საგარაულო, ხელისუფლება შეეცდება ორ წლამდე გაზარდოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა და ეს სწავლების პროგრამის სირთულით ახსნას.

ირაკლი ალაღაშვილი

talizi
თმის ზალანარკოვის ხანგარი

ბანკაშენის 27, ბელ: 2141515
www.talizi.ge



XXI საუკუნის მეკობრეები

15 ქართველი მეზღვაურის, რომლებიც თითქმის წელიწად-ნახევარი ტყვედ ჰყვადნო სომალელ მეკობრეებს, გამოხსნამ ქართველი საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ისეთ ვებოტიკურ თემას, რასაც მეკობრეობა ჰქვია.

ქართველი მეზღვაურების გამოხსნა, საერაულოდ, 3 მლნ დოლარი დაჯდა, მაგრამ მთავარი სხვაა, — ასობით ქართველი მეზღვაური სხვადასხვა გემით დაცურავს და სულაც არ არის გამორიცხული, კვლავ ხელთ ივდინ სომალელმა მეკობრეებმა.

2011 წელი რეკორდული იყო მეკობრეთა თავდასხმების რიცხვით, — 9 თვის განმავლობაში 352-ჯერ დაესხნენ თავს სხვადასხვა ქვეყნის გემებს. თავდასხმათა ნახევარი სომალელ მეკობრეებზე მოდის. ჩანს, ეს 2012 წელსაც გაგრძელდება, რაც ბაღებს კითხვას, — ატომური ავიამზიდებისა და კოსმოსური თანამგზავრების ეპოქაში რიგორ ბედდენ პატარა, მიტორაბიანი ნავით 100-ათასტონიანი სუპერტანკერების აბორდაჟსა და ეკიპაჟის შეპყრობას?

ჩანს, საქმე გაუგებრებელი პირთა ინტერესებთან გვაქვს, ხოლო სომალელი მეკობრეები მხოლოდ შემსრულებლები არიან.

ეს გაუგებრებელი წრეები საყვარელ საზღვაო მეკობრეობის მიმოიღებენ ინფორმაციის საშუალებით გემების მარშრუტებისა და გადასახადი ტვირთის შესახებ, რის შედეგადაც საქმეში მეკობრეები ერთვებიან.

ვინ შეიძლება თობოდეს ხელს ამ დანაშაულებრივი ბიზნესით? ალბათ, ისინი, ვისაც საუკურო ხომალდების დაცვა ევალება, რადგან მეკობრეების შიშმა გემების მფლობელები აიძულა, დამატებით ხარვეზ გასწორონ ტვირთის დასაცავად, შესაბამისად, გემების ვაცილებებისა და დაცვის ბიზნესი ყვევის.

ეს ნაკლებად ქება ქართველ მეზღვაურებს, რადგან მათი დიდი ნაწილი იძულებულია იცუროს ისეთ გემებზე, რომელია მფლობელები თავს არ იწყებენ ეკიპაჟის უსაფრთხოებაზე ზრუნვით და არც მილიონების გადამხლებლები არიან მათი ტყვეობიდან გამოსასხნელად.

მეკობრეობა ყველაზე აქტიური აფრიკის ადმოსივლით, სომალის სანაპიროებთან, პუნტლენდის რეგიონთანაა. აქ მეკობრეობა 2000 წლიდან დაიწყო. თავდაპირველად, მთოფეზეთა პატარა გემებს იჭერდნენ და „ჯარიმად“ 20-დან 50 ათასამდე დოლარს ართმევდნენ. 2005-2006 წლიდან სომალელ მეკობრეებს მადა გაეზარდათ და გამოსასყიდის ფასმა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი შეადგინა, ხოლო სუპერტანკერის „სირატუს სტარის“ შეპყრობის შემდეგ გამოსასყიდმა თანხამ მილიონებში შეადგინა. მაგალითად, ტანკერ „ირენის“ გასათავისუფლებლად მფლობელებმა 2011 წლის 7 აპრილს სომალელ მეკობრეებს 13,5 მლნ დოლარი გადაუხადეს.

2009 წლიდან ადენის ყურეში ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები ატარებენ ოპერაციას „ატლანტის“, რომლის ფარგლებში საერთაშორისო სასურსათო პროგრამის მიხედვით სომალელებს პროდუქტებით ამარაგებენ. გარდა ამისა, სომალის სანაპიროებთან აკონტროლებენ თევზის რწევისა და რაც მთავარია, სატრანსპორტო-საუკურო გემებს მიაცილებენ აფრიკის რეის ნეიტრალურ წყლებში.

ევროკავშირი ყოველწლიურად 8 მლნ ევროს გამოყოფს „ატლანტის“ ოპერაციისთვის და არცთუ უმცირედ, რადგან მასში შემავალმა სამხედრო ხომალდებმა არაერთი გემი გაათავისუფლეს. ოპერაცია „ატლანტის“ 2012 წლის მდლიმდე გაგრძელდება. მასში 12 საბრძოლო ხო-



სომალელი მეკობრეების სასიკვდილო ბიზნესი ჯერჯერობით ყვევის

მალღ და რამდენიმე საზღვაო საპატროლო თვითმფრინავი მონაწილეობს.

სამხედრო ხომალდების სილვეტები, ალბათ, აფრიკის მეკობრეებს და ისინი ისე ხშირად აღარ ესმიან თავს საუკურო გემებს, რაც უკვე დიდი შედეგია, მაგრამ ყველა ტანკერს თუ მშრალტვირთიძის თითო ფრეგატსა და კორეტს ვერ მიუჩენ. ამატომაც მეკობრეები სამხედრო ხომალდების დანახვებზე მთოფეზებით იქცევიან, ხოლო თუკი დაუცველი საუკურო გემს დაინახეს, ლუკმას ხელადან არ უშვებენ.

მეკობრეების უპირატესობა ის არის, რომ მათსომალელი 500-600 მ-დან ყუმბარსატვირთი ნასროლი კუმულაციურ ტვირთბინიანი რაკეტით შეუღლიათ დაახლოებით გემის დაუცველი კორპუსი, ხოლო გაზითა თუ ნეთითობი სუვე ტანკერზე საშინელი აფეთქება გამოიწვიონ.

გემის ეკიპაჟს ან მათ დამცველებს რომ შეეძლოს, მეკობრეები დაახლოებით ერთი კმ-ის სახალფეხე არ მიუშვან, მანინ გემის კორპუსის დანახინების და მით უმეტეს, აბორდაჟის საფრთხე აღარ იქნება.

კავკასიური მოვლენები

გასულ წელს აზერბაიჯანი რუსული ლიცენზიით 5,45 მმ-იანი ავტომატების AK-74M მოდიფიკაციის სხვადასხვა სახის ავტომატის სერიულ წარმოებას შეუდგა



აზერბაიჯანი

● 2011 წლის 28 დეკემბერს ბელორუსულმა კომპანია Tetraedr-მა და აზერბაიჯანის Azairtechservice-მა ერთობლივად საწარმო Tetraedr Techservice დაარეგისტრირეს. ბელორუსულმა კომპანიამ მოდერნიზაცია უკვე ჩაუტარა აზერბაიჯანელთა საპაერო თავდაცვის სისტემა C-125 Печора-ს ორ ბატარეას (8 საბრძოლო მანქანა) და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მოწინებაც დაიმსახურა. ახლა სისტემა „აქიორის“ ექსპლუატაციის ვადა კიდევ 15 წლით გაიზარდა. ბაქო ასევე დინტერესდა ამავე კომპანიაში წარმოებული სისტემა T-38 Стилет-ით.

● 2005-10 წლებში აზერბაიჯანმა ძირითადად უკრაინასა და თურქეთში 8 ათას 862 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი იყიდა და ამ იარაღის დიდ ნაწილს ტყვიამურევეები, ხელის ტყვიამურევეები და პისტოლები შეადგენენ.

● 2005-10 წლებში აზერბაიჯანმა უკრაინიდან მიიღო 64 „პაერი-პაერი“ კლასის P-27 ტიპის რაკეტა, 3 ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსი Точка-У, ხელით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი

Стрела-3-ის 18 რაკეტა 9М36-1 და ამავე კომპლექსის 10 გამწვები დანადგარი 9М58М.

● 2014 წელს ბაქოში იარაღის დიდი საერთაშორისო გამოფენის ჩატარება იგეგმება და ამასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე მოლაპარაკება რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს.

2011 წელს წარმატებით შესრულდა სომხეთ-NATO-ს თანამშრომლობის გეგმა



● დეკემბერში სომხეთმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება 61-ჯერ დაარღვია, რის შედეგადაც 2 სამხედრო დაიჭრა. 2011 წელს სომხებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება 774-ჯერ დაარღვიეს, ხოლო 19 კაცი (15 სამხედრო და 4 სამოქალაქო) დაიღუპა და 24 კი (19 სამხედრო და 5 სამოქალაქო) დაიჭრა.

● რუსეთიდან სახმელეთო ჯარების აღჭურვილობის იმპორტიორ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანმა მე-5 ადგილი დაიკავა. ერთ-ერთი კონტრაქტით ბაქო AK-74M-ის წარმოებას ათწლიანი ლიცენზია იყიდა და გასული წლის მე-4 კვარტალში ავტომატების საცდელი პარტიაც გამოიშვა. სულ საწარმოო პროგრამა დაახლოებით 120 ათასი ავტომატის დაშვადებაზეა გათვლილი.

● 11 იანვრიდან ბაქოში მოზარდებისთვის მშვერავთა მოსამზადებელი კურსები ამოქმედდა. კურსდამთავრებულები შესაბამის სერტიფიკატს მიიღებენ, რომელიც არმიის გაწვევის დროს გათვალისწინებული იქნება. 70-ზე მეტი ახალგაზრდიანი კურსსმე მხოლოდ 20 მათგანი ჩაირიცხა. ისინი შეისწავლიან შენდების ზრუნებს, ხელჩართულ ბრძოლას, სხვადასხვა იარაღს და მათ შორის არბალეტს.

პირობა



ოკუპანტების მე-7 სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მომზადებაში ტრენაჟორების ფართოდ იყენებენ

სომხეთი

● 2005-10 წლებში სომხეთმა სხვადასხვა სახის 20 ათას 967 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა, რომლის უდიდესი ნაწილი რუსეთსა და უკრაინაშია ნაყიდი. ასევე სომხეთის არმიას შეემატა 12,7 მმ-იანი 250 სერბული სნაიპერული შაშხანა Black Arrow, რუსული წარმოების 5,56 მმ-იანი 480 ავტომატი AK-105 და 7,62 მმ-იანი 52 სნაიპერული შაშხანა CB-98.

● წარმატებით დასრულდა 2011 წლის სომხეთ-NATO-ის თანამშრომლობის გეგმა, რომელმაც 130 მიმართულება მოიცვა. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობით შექმნა კრიზისების მართვის ცენტრი და სამსახური 911. ამოქმედდა 2012-13 წლებზე გათვლილი ახალი გეგმა და უახლოეს მომავალში სომხეთის ყველა რაიონში ფუნქციონირებას დაიწყებს კრიზისების მართვის ცენტრები, რომლებიც მოსახლეობასა და სახელმწიფო სტრუქტურებს საგანგებო სიტუაციებში დაქმნავენ.

ჩრდილო კავკასია

● 2011 წელს ვარაჩაეთი-ჩერქეზეთში შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი 34 კაცი გახდა, საიდანაც

22 მოკლულა და 12 დაჭრილია. ადგილობრივი შეიარაღებული წინააღმდეგობის წევრებმა 13 თანამებრძოლი დაკარგეს და მათთან დაკავშირებული 8 კაცი დააკავეს. მოკლულა 6 სამართალდამცველი და დაჭრილია 9.

● ჩეჩნეთში დისლოცირებულმა მობრძოლებმა ბრიგადებმა შეიარაღებაში 19 მოდერნიზებული სამეთაურო-სამტაბო ჯუჯმანტრანსპორტიორი მიიღეს. მანქანები აღჭურვილია გლონასს-ის სისტემითა და ვიდეოკამერებით აპარატურას საშუალება აქვს მონაცემები დიდი სისწრაფით გადასცეს და ამასთან, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებისგან დაცვა.

კონფლიქტური რეგიონები

ოკუპირებული აზხაჯითი

● განვლილ წელს საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო ძალებმა ე.წ. საზღვრის დარღვევის ფაქტზე 1300 კაცი დააკავეს, ამიღეს 20 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი და 4 ათასი ერთეული საბრძოლო მასალა. გრძელდება სასაზღვრო სამხედრო დასახლებების მშენებლობა. სულ 20 დასახლე-

ბის აგება არის დაგეგმილი და დიდი ნაწილი უკვე მწყობრშია.

● ალექსანდრე ანქვაბის ბრძანებულებით გენერალ-მაიორი ვლადიმირ ვასილენკო დაინშნა სეპარატისტების თავდაცვის მინისტრის მოადგილედ — გენერალური შტაბის უფროსად, გენერალ-მაიორი ბესლან წიევა — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, ნოდარ ფილია — სტატ-მენად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, პოლკოვნიკი ასლან ანქვაბი — ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

● საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზაში მწყობრში შევიდა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო მართვადი კომპლექსი Штырь-С-ის ოპერატორების მოსამზადებელი უნიფიცირებული ტრენაჟორი. მისი დახმარებით ოპერატორები ისწავლიან უძრავ და მოძრავ მიზანზე ეზე დამიზნებას, მოახდინენ ტურვის ტრაექტორიის ფრენისა და სამიზნის მოძიების იმიტაციას, რომლის დროსაც ამ უკანასკნელის ზომები მანძილის პროპორციულად შეიცვლება. მომზადების შემდეგ ოპერატორები საბრძოლო სროლის კრანსოდარის მხარის ერთ-ერთ პოლიგონზე შესრულდებიან.

● მოქმედებაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც სულთან სოსნალიევისა (1992-93 წლებში სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი) და სერგეი დაბარის (1992-93 წლებში სეპარატისტულ ფორმირებათა ერთ-ერთი ხელმძღვანელი) ქვეყნები საციცხლიის ბოლომდე ყოველთვის ურად 20 ათას რუბლ (დაახლოებით 630 დოლარი) დანამატს მიიღებენ. ვლადიმერ ნაჩანის (1992-93 წლებში ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური) ქვეყნი კი 10 ათას (დაახლოებით 315 დოლარი) რუბლს მიიღებს.

თომთადირამზული ყარაბაღი

● სტეფანაკერტის აეროპორტი საპაერო მიმოსვლის დაწყებისთვის ყოველმხრივ მომზადებულია და ფუნქციონირებს მარტ-აპრილიდან ივგემბა. ახლა მთავარი საკითხია თეთი მფრინავების შექმნა, რომლებიც არგენტინელმა ბიზნესმენმა ედუარდო ერნეკანამ აიღო თავის თვზე. მანვე უნდა უზრუნველფოს მფრინავთა მოსამზადებელი კურსების ორგანიზება.

თმთარ ჩანანშიძე



Кавказ-2012

დერეფნის გაქცა საქართველოზე სომხეთისკენ

Кавказ-2008-ს საქართველოში შეიჭრა მოყვამ, Кавказ-2012 კი უფრო გენერალურად, სტრატეგიულ შედეგზე გათვლილი

რუსეთის გენერალურმა შტაბმა გაერცვლა ინფორმაცია, რომ ა. წ. სექტემბრისთვის გაიმართება ერთობლივი სტრატეგიული სამეთაურო-სამტაბო სწავლება Кавказ-2012, რომელშიც რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქთან ერთად სეპარატისტული სიხუძისა და ცხინვალის შეიარაღებული დანაყოფიც მიიღებენ მონაწილეობას.

ამაში რაღაც განსაკუთრებული თითქოს არაფერია, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ Кавказ-2008-ად წოდებული სამეთაურო-სამტაბო სწავლება მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრით დასრულდა.

სექტემბრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ თუკი მსოფლიოში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, ეტყობა, Кавказ-2012-ს მოსკოვი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე სწრაფი ტემპით გამართავს.

ასეთ დამაჩქარებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება, რის შემთხვევაშიც რუსეთის შეიარაღებული ძალები აპირებენ გააქტიურებას ირანის მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი სომხეთში.

სომხეთს აქვს საერთო საზღვარი ირანთან, თუმცა არა რუსეთთან და თუ-

კი მოსკოვი მართლაც დააპირებს აქტიური მოქმედებების დაწყებას, ირანზე აშშ-ისა და ისრაელის თვდასხმის შემთხვევაში, მაშინ გვენდა თუ არა, შუაში საქართველოც აღმოჩნდება.

მოსკოვში აცხადებენ, რომ მათ აამოქმედეს საპაერო თვდაცვის ძალების მართვის ავტომატიზებული სისტემა Барнаул-Т, რომელიც მთლიანად ფარავს სამხრეთ კავკასიის ცას. ეს თუ მართლაც შეესაბამება სინამდვილეს, გამოდის, სომხეთში, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და

აფხაზეთში დაყენებული რადიოლოკატორები (პლუს აზერბაიჯანში მოქმედი რუსული ფაზირებულანტენიანი მძლავრი რადიოლოკატორი გაბალანსი) მართლაც კარგად აკონტროლებენ საპაერო სფეროს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც თავის მხრე ნაკლებსა-გარაუდოს ზდის ამერიკული ან ისრაელის საბრძოლო ავიაციის მოქმედებას წვენი რეგიონიდან ირანის ჩრდილოეთით.

ირანზე შესაძლო თვდასხმის შემთხვევაში, მოსკოვის მიეცემა საუკეთესო

სომხეთისკენ მიმავალი დერეფნის საქართველოზე ძალით გაჭრა რუსეთის გენშტაბის გეგმებში მართლაც არის



საბაბი აქტიურად იმოქმედოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში და უპირველესად კი საქართველოში, რადგან აშშ-სა და ვერობას ვერაძლება სწორად ირანზე ექნება მამართლება.

ასეთ შემთხვევაში რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის საბრძოლო დანაყოფები შეიძლება ძალით გაიჭრან სომხეთის 102-ე გეომპრის სახელდრო ბაზისკენ საქართველოს გავლით. საამისო მინიშნებების უკვე აკეთებენ მოსკოვში, ოღონდ ჯერჯერობით სამხედრო ექსპერტები, თუმცა მათი ნაწილი კარგად ინფორმირებულია, რადგან რუსეთის გენშტაბთან მჭიდრო კავშირის ინარჩუნებს.

საქართველოზე სომხეთისკენ გაჭრის მთავარი ამოცანა ექნება ირანის საზღვრების ახლოს გაძლიერდეს რუსული საბრძოლო დანაყოფების რაოდენობა და მზადყოფნა.

სახმელეთო დერეფნის ძალით გაჭრის რამდენიმე მიმართულება შეიძლება არსებობდეს. მათგან ყველაზე რეალური იწყება ოკუპირებული ახალციხის რაიონიდან, სადაც მანამდე როცა გვირბაბის გავლით თავს მოუყვრან დამატებით ძალებს. სამხედრო ოქონა, რომელიც გაძლიერებული ექნება ტანკებითა და სხვა ჯავშანტექნიკით, ხოლო პაეროდან დამრტყმელი შეეუღლებერენები დაიცავენ, შეეცდება, გაიჭრას ხაშურის, შემდეგ ბორჯომის, ახალციხისა და ახალქალაქის მიმართულებით და ისე გადავიდეს სომხეთში. ამ მარშრუტზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ძლიერი დაჯგუფება არა ჰყავს, რომელიც შეძლებს რუსული ჯავშანკოლონის შეერებას. სახმელეთო დერეფნის ძალით გაჭრის გარდა, რუსეთის საბრძოლო უიაცია (მათ შორის — გამანადგურებელი და დამრტყმელი შეეუღლებერენები) შეეცდება რუსეთის ტერიტორიიდან სომხეთის აეროდრომებზე, მათ შორის გეომპრში, ზვარტნოცსა და ერებუნზე გადაფრინდეს, რა თქმა უნდა, საქართველოს საპაერო სერვისს გავლით. მართალია, ერებუნში ისედაც დგას დაახლოებით 18 რუსული გამანადგურებელი, მაგრამ მათი ხარისხობრივი დარიცხობრივი ზრდა მოსკოვს აუცილებლად სჭირდება, რათა სომხეთის ეაში მუდმივად პატრულირებდნენ რუსული გამანადგურებლები. ამით მოსკოვი შეეცდება დაანახოს ვაშინტონისა და თელ-ავეს, რომ რუსეთის სამხედრო ძალა ირანის საზღვართან ანგარიშგასწავლია.

Кавказ-2012-ის მოსამზადებელი

Барнаул-Т-ს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი



ექტაზე კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გახმაურდა, — რუსეთის არმიის მიღგამეყანი დანაყოფები მზად არიან უმოკლეს დროში გაიყვანონ საწვავის გადამქანი მილები რამდენიმე ათეულ კმ-ზე. გახულ წლის სწულები-სას ჩრდილო კავკასიის დასახლებული პუნქტ არღონიდან კავკასიის ქედის გავლით 75 კმ-იანი მილი გადაიყვანეს ცხინვლის რეგიონამდე.

საწვავის დეფიციტი აშინებს რუსეთის გენშტაბს, — რუსეთიდან პირდაპირ მომარაგებას მოსევეტილი 102-ე რუსული სამხედრო ბაზა გეომპრში შეიძლება ბრძოლისუუნარო აღმოჩნდეს.


დღეს სომხეთი ნაოთბპროდუქტებს ძირითადად ირანიდან იღებს და ექიდან ამარაგებს რუსულ სამხედრო ბაზას გეომპრში. თუმცა, ასე შეიძლება აღარ გაგრძელდეს, რადგან აშშ-მა ირანის

ნაოთბის გაიდეგაზე მკაცრი სანქცია დააწესა და ეკონომიკური პრობლემებში შებეღება ვეცლა იმ კომპანისასა და ქვეყანას, ვინც გააგრძელებს ირანული ნაოთბპროდუქტების ყიდვას.

თუკი სომხეთმა ამერიკული სანქციის შეწლით მაროლაც შეწვეცა ირანული ნაოთბპროდუქტების ყიდვა, მამე მდგომარეობაში აღმოჩნდება რუსეთის სამხედრო ბაზა სომხეთში.

ეს კიდევ შეიძლება დამატებითი არგუმენტი გახდეს კრემლისთვის, რომ სტრატეგიული საქაოერო-საშტაბო სწულება Кавказ-2012-ის ფარგლებში მაროლაც სცადოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს გზებზე ძალის გამოყენებით შექმნას სატრანსპორტო დერეფანი და სომხეთისკენ საბრძოლო და სტრანსპორტო კოლონები გაიყვანოს.

ირაკლი ალადაშვილი



გარდაიცვალა კახა კაცია, — სამშობლოზე უსაზღვროდ შეეყვარებული ადამიანი, მეცნიერი-ფილოსოფოსი, რომლის ვურადღეების მიღმა არც სამხედრო კვლევები დარჩენილა. სასწუხაროა, რომ ამ დღი ინტელექტუალური პოეტნიციალის მქონე ადამიანმა ეს ქვეყანა ისე დატოვა, რომ თავის შესაძლებლობათა სრულად გამოყენება ვერ მოახსწრო.

ურუნად „არსენალის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს და თნაგურძნობს განსევენებულის ოჯახს.

მოგოსიკლისგები ირანული აბოჟური გოგვის წინააღმდეგ



აბოჟური გოგვის რეჟიმულ ირანულ მესნიერებს უსნოგი მოგოსიკლისგები აფთქაჟენ

რა საჭიროა ატომურ ობიექტებზე მართვდი რაკეტებით წერტილიღუანი საპაერო დარტემა, თუკი შეიძლება უფორ წერტილიღუანი „ახვლეუტა“ და ატომური ბომბის შემქმნელი სპეციალისტების დახოცვა?

უკვე მჭის არ იწვევს, რომ ირანში ატომური ბომბის შექმნის შეფერხებას დასაულოთი დეფერსიული აქტები-თაც ცდილობს, რასაც უკვე შეწირა რამდენიმე ირანული მეცნიერი, თანაც ზელწერა უცვლელია, — უცნობი მოტოციკლისტები ბომბებს მსხვერპლის მანქანის თაზე დებენ. ბოლო შემთხვევა 11 იანვარს მოხდა თეირანის ერთ-ერთ ქუჩაზე. თეირანის ტექნიკური უნივერსიტეტიდან გამოსული 32 წლის მეცნიერი აჰმად რომანი მანქანაში ჩავლომისთანაჟე აფეთქქეს. ბომბი მანქანაზე უცნობმა მოტოციკლისტმა დაღო. აფეთქებას მეცნიერის მძვლილიც შეწირა. აჰმად რომანი ნათანის ბირთვულ ცენტრში, სადაც ურანის გამდიდრება ხდება, განყოფილების უფროსი იყო.

მანამდე, ორი წლით ადრე, 2010 წლის 11 იანვარს თეირანის ცენტრში დანადგმული მოტოციკლი აფიქტადა, რომელმაც გვერდით მდგომ მანქანაში მჯდომი მასულ აღ-მოჰამადი იმსხვერპლა. იგი თეირანის უნივერსიტეტში ნეიტრონულ ბირთვულ ფიზიკას ასწავლიდა.

2010 წლის 29 ნოემბერს თეირანში მართლაც საოცარი რამ მოხდა, — ერთსა და იმეჟე დროს, ოღონდ ქალაქის სხვადასხვა უბანში, ერთნაირი ზელწერით ორი ფიზიკოსის ავტომანქანები აფეთქქეს. თავდასხმა უცნობმა მოტოციკლისტებმა მოაწვეეს. ისინი მიუახლოვდნენ ფიზიკოსების მანქანებს და მათ კორპუსს მაგნიტური ნაღმები მიაძაერეს. დაღუპული მჯადე შაჰარარი თეირანის ბეჰქეშთის უნივერსიტეტის ბირთვული კვლევების განყოფილების ინჟინერი იყო.

მოტოციკლისტების მეორე სამიზნე, ბირთვული ფიზიკის დოქტორი ფერედუნ აჰასი, რომელიც ირანის თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა, აფეთქე-

ბას გადაურჩა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა. ორივე აფეთქებისას დაიჭრნენ მანქანებში მყოფი მეცნიერების მეუღლეებიც. უდღოა, რომ ირანულ ბირთვულ ფიზიკოსებზე ნადირობენ, რისი მზანიც ირანის ატომური პროგრამის შეფერხებაა.

ირანის სპეცსამსახურებმა შექმნეს სპეციალური დანაჟოფიც, რომელიც ბირთვულ თემებზე მომუშავე მეცნიერებს დაიცავს.

თეირანმა მეცნიერებზე თავდასხმაში აჰმ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ისრაელის „მოსადი“ დააღანამაუღა. ირანი გაეროსგან ითხოვს, ოფიციალურად დაგმოს მეცნიერების მკვლელობები.

ბუნებრივია, არც ამერიკელები და არც ისრაელი არ აღიარებენ, რომ ეს დეფერსია მათი სპეცსამსახურების მოწვობილია, მაგრამ ნათელია, რომ სწორედ ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელებს სურთ ირანული ბირთვული პროგრამის შექმნება, რისთვისაც არაფერზე იტყვიან უარს.

რუსული „გორნადო“ „გრაღის“, „ურაგანისა“ და „სმერჩის“ ჩასანახვლებლად



უნივერსალური Tornado გაუზივებს როგორც Grad-ის 122 მმ-იან, ისე Смерч-ის 300 მმ-იან კალიბრის რაკეტებს

გასული წლის შემოდგომაზე კაპუსტინ იარის პოლიგონზე გამართული სტრატეგიული დონის სწავლების Центр-2011-ის ფარგლებში პირველად იქნა გამოყენებული ახალი ტიპის რუსული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები Tornado-Г და Tornado-С.

საერთოდ, რუსულ არმიას საბჭოთა პერიოდიდანვე არ აკლია ამ კლასის შეიარაღება, იქნება ეს 122 მმ-იანი BM-21 Grad-ის, 220 მმ-იანი BM-27 Ураган-ის თუ 300 მმ-იანი BM-30 Смерч-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები.

მაშინ რა საჭირო იყო კიდევ ერთი ახალი ასეთივე სისტემის შექმნა? საქმე ის არის, რომ „გრაღის“ დანადგარიდან „სმერჩის“ რაკეტებს ვერ ისერი და პირიქით, ანუ ფრონტის ხაზთან სამივე ან უკიდურეს შემთხვევაში ორივე ტიპის დანადგარები უნდა განათავსო, რომ მოწინააღმდეგის ზურგს სხვადასხვა სიღრმეში მიაყენო სარაკეტო დარტყმა.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ „გრაღები“ საბჭოთა არმიაში დღეობიონების

Tornado-Г-ს ორ პაკეტში „გრაღის“ 30 რაკეტაა განთავსებული





220 მმ-იანი Ураган-ი



ომის დროს ისე სწრაფად იცვლება საბრძოლო სიტუაცია (რაც 2008 წლის აგვისტოს ომშიც აჩვენა), რომ მასზე დროული და ეფექტური რეაგირებისთვის დრო როგორც ყოველთვის არასაკმარისია.

ამიტომაც, რატომ უნდა აწარმოო სხვადასხვა კალიბრის, რაკეტების მსროლელი დანადგარები, რაც უზარმაზარ დანახარჯთანაა დაკავშირებული, როდესაც შეიძლება გქონდეს ზალპური ცეცხლის ერთი უნივერსალური გასაშვები დანადგარი, რომელიც სხვადასხვა კალიბრის რაკეტებს გაუმშვებს!

პირველად ეს აზრი თვეში ამერიკელებს მოუვიდათ და მალევე შეასხეს ხორცი თავის ჩანაფიქრს MLRS-ის სახით.

ამერიკული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა M270 MLRS პენტა-

ღონეზე იყო და მისი 40-ვე უმართავი 122 მმ-იანი რაკეტის მაქსიმალური ფრენის სიშორე მხოლოდ 20,4 კმ-ს აღწევდა.

220 მმ-იანი „ურაგანები“ საარმოო ღონეს მიეკუთვნებოდა და მათ 16 ცალი 270 კგ-იანი უმართავი რაკეტების გაშვება მაქსიმალურ 35 კმ-ზე შეეძლოთ.

„სმერჩა“, რომელიც თავის 12 ცალი 3000 მმ-იან რაკეტას მაქსიმალურ 70 კმ-ზე გზავნიდა (მოდერნიზებული რაკეტები 90 კმ-მდე მიფრინავენ), უკვე ტექნიკური დანიშნულების რაკეტების სფეროში „იჭრებოდა“, რადგან ფრონტის ზახის ღრმა ზურგში შეიძლოა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ობიექტების დაზიანება.

300 მმ-იანი Смерч-ი



**ტორნადო-ს-ს თითოეულ
პაკეტში „სმერჩის“
6 რაკეტა თავსდება**



ხლის რეაქტიული სისტემების („გრანდის“, „ურაგანის“ და „სმერჩის“) შესაქმნელად, რათა მოწინააღმდეგე შენაბამისად 21, 35 და 70-90 კმ-ების სიღრმეებში დაუზიანებინა, ამერიკელებმა ერთადერთი, მაგრამ უნდევრსაღური MLRS შექმნეს.

ფაქტობრივად MLRS ცვლის არა მარტო „გრანდის“, „ურაგანის“ და „სმერჩის“ (რადგან მისი სხვადასხვა ტიპის რაკეტები ფარვენ 45-70 კმ-იან ზღვრებს), არამედ ATACMS-ის ტაქტიკური რაკეტების 300 კმ-მდე გაშვების უნარით ისინი „ფარვენ“ რუსულ ტაქტიკურ Точка-ს, ოპერატიული-ტაქტიკურ Точка-У-სა და უსწროღებთან 280 კმ-იანი რადიუსის მქონე საექსპორტო Искандер-М-ებს (თავისი არმიისთვის რუსეთი 500 კმ-ზე მეტეფრე Искандер-М-ებს აშხალებს, რადგან 300 კმ-ზე

გონის შეიარაღებაში 1983 წელს მიიღო „ბრედლის“ ტიპის ქვეითა საბრძოლო მანქანის ბაზაზე დამზადდულ ამ დანადგარს დამონტაჟებული ჰქონდა მართკუთხედი ფორმის ორგანიზაციული განსაზღვრის მიწოდებისთვის, რომელშიც იღებოდა ქარხანაში გამოადგებული კონტეინერი რაკეტებით.


კონტეინერები სამი სახის იყო: ერთი ტიპის კონტეინერში ექვსი ცალი M26 ტიპის 240 მმ-იანი უმართავი რაკეტა პერმეტულად იყო მოთავსებული, ანუ ერთ ზალაზე 12 ასეთი რაკეტის გაშვება შეიძლებოდა მაქსიმალურ 32 კმ-ზე (ამ რაკეტის მოდერნიზებული ვარიანტი 45 კმ-მდე მიფრინავს).

მოგვიანებით, NATO-ში შემაჯავლა ქვეყნებმა (რომელთა შეიარაღებაშიც იქნა მიღებული MLRS) ერთად შეიმუშავეს 227 მმ კალიბრის რაკეტა M30 GMLRS, რომელსაც 404 კუმულაციურ-მსხერევი ელემენტით სამიზნის დაზიანება მაქსიმალურ, 70 კმ-ზე შეეძლო (2008 წელს გამოცდისას ამ რაკეტებით ამერიკელები მიზანს უკვე 85-92 კმ-ში აზიანებდნენ).

და რაც მთავარია, MLRS-ს შეეძლო ტაქტიკური დანიშნულების ორი რაკეტა ATACMS-ს გაშვება (რომლის კასეტურ ქობინში 950 დამაზიანებელი ელემენტი იღო) მაქსიმალურ 165 კმ-ზე. ამ მართავი ტაქტიკური რაკეტის მქონე ვარიანტი უკვე 270 კმ-ს ფარავდა, ხოლო ბოლო, მოდერნიზებული მესამე ვარიანტი კი 300 კმ-ს აღწევს.

რა გამოიღოს?
მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა სამი, განსხვავებული ტიპის ზალაური ცვი

ამერიკული MLRS-ის უნივერსალურობა ამ ფოტოზეც ჩანს — მარჯვენა პაკეტიდან სტარტს 610 მმ კალიბრის ტაქტიკური რაკეტა ATACMS-ი იღებს, ხოლო მარცხენა პაკეტში შეიძლება 240 მმ-იანი ექვსი M26 ტიპის რაკეტა ეჭვოს



120148



ქართული არმიის LAR-160-ი

მეტი სისიორის მქონე რაკეტების ექსპორტზე საერთაშორისო სანქციებია დაწესებული.

რუს გენერლებსაც მოუწიათ ერთი უნივერსალური ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის შექმნამ, რომ ერთი მობილურ დანადგარზე დამონტაჟებულ გასაშვებ მოწყობილობას გაეწონოდა როგორც „გრადის“, ისე „ურაგანის“ და „სმერის“ სხვადასხვა კალიბრის რაკეტები.

ასე შეიქმნა **Торнадо-Г** და **Торнадо-С**-ს ტიპის საბრძოლო მანქანები, რომლებიც ერთ საავტომობილო ბაზაზეა აწყობილი. ძარაზე დამონტაჟებულია ორი მართკუთხა გასაშვები მოწყობილობა (იმევე პრინციპით, როგორც ამერიკულ MLRS-ზე). ამ მოწყობილობაში შეიძლება ჩაიდოს კონტეინერი „გრადის“ 15 122 მმ-იანი რაკეტით ან „სმერის“ ექვსი 300 მმ-იანი რაკეტა.

შუსაბამისად, **Торнадо-Г**-ს საბრძოლო მარაგი 30 ცალ 122 მმ-იან რაკეტას შეადგენს („გრადის“ პაკეტში ათით მეტი ასეთვე რაკეტა ეტევა), ხოლო **Торнадо-С**-ს ორეუ კონტეინერში კი 12 ცალი, 300 მმ-იანი კალიბრის რაკეტა თავსდება, ისევე როგორც „სმერის“ დანადგარზე.

არ არის გამორიცხული ამ დანადგარიდან რუსმა სამხედროებმა „ტომკევის“ და „ისკანდერების“ გასროლაც ისწეონ, რაც მას მართლაც უნივერსალურად აქცევს.

თუმცა იმის მილოდინი, რომ უზარმაზარი რუსული არმიის „გრადების“ და „ურაგანების“ მოძველებულ პარკს მილიანად განაახლებენ, თვად რუს გენერლებსაც არა აქვთ რუსულ მასშტაბში გამონხდა ინფორმაცია, რომ

ითითოს 2011 წელს რუსეთის არმიამ 30 „ტორნადო“ მიიღო.

სამი ათეული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა რუსეთის არმიისთვის ამინდს ვერ შექმნის, მაგრამ მათ ნაწილს, ალბათ, მაინც საქართველოს საზღვრებთან არ სულაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე განალაგებენ.

იქნება თუ არა დამატებითი საფრთხე საქართველოსთვის რუსული „ტორნადოების“ ოკუპირებულ აუზანუთა და ცხინვალის რეგიონში შემოყენა? მაშინ, როდესაც „გრადები“, „ურაგანები“ და თვით „სმერები“ და „ტომკაუ“-ებიც დიდი ხანია დაყენებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, „ტორნადოების“ დამატებით შემოყენა ბევრს აღარაფერს ცვლის.

ირაკლი ალადაშვილი

აზერბაიჯანმა ისრაელის Lynx-ის სისტემა რუსულ „კამაზებზე“ დამონტაჟა: მარჯვნიდან მარცხნივ — 122 მმ, 160 მმ და 300 მმ კალიბრის რაკეტების გასაშვები დანადგარები



PS. ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიც სხვადასხვა ბაზაზეა დამონტაჟებული და მათი ექსპლუატაცია დამატებით ხარჯებს მოითხოვს. აგრადს „ურაგანის“ შასი აქვს, RM-70-ს — „ტატარასი“, Grad-Lar-სა და LAR-160-ს კი — „მერსედესის“.

ისრაელში ნაყიდი „მერსედესის“ ბაზაზე დამონტაჟებული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Lynx უნივერსალურია, რადგან შეუძლია როგორც 122 მმ-იან (Grad-Lar-ის ვარიანტი), ისე 160 მმ-იან (LAR-160-ის ვარიანტი) კალიბრის რაკეტების გაშვება.

ჩვენი მებრძოლი აზერბაიჯანი უფრო შორს წუვია და ისრაელში ნაყიდი გასაშვები მოწყობილობები რუსულ ოთხხიდიან „კამაზებზე“ დამონტაჟა, რის შემდეგაც ამ უნივერსალური დანადგარიდან მათ შეუძლიათ გაუშვან როგორც 122, ისე 160 და 300 მმ-იანი (ამ EXTRA-ს ტიპის ისრაელის წარმოების რაკეტით სურებადგარელებს მიზნის დაზიანება 150 კმ-ის სიშორეზე შეუძლიათ) რაკეტები.

პრინციპში, თუკი Lynx-ის ტიპის უნივერსალურ ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს ისრაელი მომავალშიც მოეგვიდის და თან EXTRA ტიპის 300 მმ-იან რაკეტებსაც მოაყოლებს, მაშინ ქართულ არმიასაც გაუნდება მთლიანად უნივერსალური ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება სამი სხვადასხვა კალიბრის (122, 160 და 300 მმ) რაკეტების გაშვება.

შეხვედრი ბრიკოლა



(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №1, 2012)

ფრონტიდან ბრიგადას იცვას აენგარდის მოწინავე დაცვა (გაძლიერებული ქვეითი/სატანკო ასეული), რომელიც ძირითადი ძალებიდან 10-15 კმ-ის დაშორებით გადაადგილებიან.

მოწინავე რაზმის არსებობის მიუხედავად, აენგარდის წინ მოქმედებს სათაო სალაშქრო დაცვა გაძლიერებული ოცეულით, რომელიც მხედველობის მანძილზე თავისი შემადგენლობიდან წინ მყოფი სადაზვერუო (შხირთა) პატრულისთვის ათეულს ან ცალკეულ შხირებს გამოყოფს.

ბრიგადის ძირითადი ძალები უნდა შეიცვდნენ რამდენიმე საბატალიონო (სასეული) ტაქტიკურ ჯგუფში გაერთიანებულ სამხედრო და საბრძოლო ქვედანაყოფებს, რომელთა წყობამაც მოწინააღმდეგესთან შეჭებისას ბრძოლაში ორგანიზებულად ჩართვა უნდა უზრუნველყოს.

მათი წარმატებული მოქმედების წინა პირობაა არტილერიისა და სხვა საცეცხლე საშუალებების გონიერი და წინასწარი გადანაწილება საბატალიონო (სასეული) ტაქტიკურ ჯგუფებში.

ლოგისტიკის დანაყოფები ჩვეულებრივ სალაშქრო წყობის ბოლოში მოძრაობენ და სარეზერვო ნაწილიდან ერთად ზურგის დამოუკიდებლად სამარშე ჯგუფს ქმნიან.

შემხვედრი ბრძოლა დიდი ვარაუდით დაიწყება მოძრავ კოლონებზე საპაერო, მართვადი და უმართავი რაკეტების დაღრმეებით მათი შეფერხებისა და ზარალიან მიყენების მიზნით.

ამეყ პერიოდში სადაზვერუო ორგანოები აქტიურად მოქმედებენ უნდა ცდი-

2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს 11 აგვისტოს სოფელ შინდისთან მე-2 ქვეითი ბრიგადის ერთ-ერთი ასეულის კოლონა გადაეყარა რუსული 76-ე საპაერო-სადენსანტო დივიზიის სადაზვერუო პატალიონს. შემხვედრი უთანასწორო ბრძოლაში 17 ქართველი მებრძოლი გმირულად დაიღუპა.



ლობდნენ სრულად გახსნან მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება, ძალები და ჩანაფიქრი.

მომდევნო მოქმედებები მიმდინარეობს შემდგომი ალგორითმით მხარეების მიახლოების შესაბამისად ბრძოლაში უმეტესად მოწინავე რაზმები, რათა აქტიური ქმედებით შეზღუდონ მოწინააღმდეგის მოქმედების თავისუფლება და დაიკვიონ მოსახერხებელი ზღუდეები, უზრუნველყონ საკუთარი მთავარი ძალების მიახლოება და საბრძოლო წყობაში გაშლა.

შემდგომ მოქმედებას აენგარდები იწყებენ და მათი დანიშნულება — მოწინავე რაზმის წარმატების განვითარება და მხარდაჭერა.

ექსპერტთა გაანგარდებითა და საბრძოლო მოქმედებათა გამოცდილებით, აენგარდების გაშლასა და ბრძოლაში შეყენას დაახლოებით 30 წუთი სჭირდება. აუცილებელია, რომ ამ მოქმედ-

ებებს მხარდაჭერა ყველა საცეცხლე საშუალებით გაეწიოს.

თუკი აენგარდს დაბირისბირება მოწინააღმდეგის გაშლილ და ჭარბ ძალებთან უხდება, მაშინ შესაძლებელია აქტიურ თავდაცვებზე გადასვლა და დროის მოგება, ძალების შენარჩუნება და ძირითადი ძალებისთვის მანვერის თავისუფლება.

ადგილმდებარეობიდან, სალაშქრო წყობიდან თუ სხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ერთი მარშრუტით მოძრაობე ბრიგადის საბატალიონო კოლონებში გაშლა შესაძლებელია დაიწყოს შეტევის განსაზღვრული ზღუდიდან 10-15 კმ-ში, ასეულისთვის — 5-8 კმ-ში და ოცეულისთვის — 2-3 კმ-ში.

ბრიგადის ძირითადი ძალები შესაძლებელია ბრძოლაში თანდისან (მიახლოების შესაბამისად) უშუალოდ სვლიდან ან ერთდროული გადაადგილებითა და გეშლით ჩაებას.



პირველ შემთხვევაში ყოველი სალამქრო კოლონის მოწინავე პატალიონი (საბატალიონი ტრაქტორული ჯგუფი) გაშლას და ბრძოლაში ჩაბმას აუზარდობს საბრძოლო კონტაქტიდან 30-40 წუთის შემდგომ შეძლებს.

ეს ის დროა, რომელიც დასჭირდება მას აუზარდობიდან დაშორებული მანძილის დასაძლევად.

მეორე შემთხვევაში, როცა ბრიგადა მოწინააღმდეგის მსხვილ ძალებს უპირისპირდება, მას შესაძლებელია მოკლე შეჩერებით საბრძოლო გაშლა დასჭირდეს. ამ შემთხვევაში ბრიგადის ძირითადი ძალები ბრძოლაში ერთდროულად შეეჭვიან.

ამ ვარიანტში შენაერთმა მოწინააღმდეგეს უნდა მიაყენოს მთავარი და დამხმარე დარტყმა. მთავარი დარტყმის მიმართულებაზე წყობა, როგორც წესი, ორეშელონიანია.

ფართო ფრონტზე დასაშვებია ერთეშელონიანი წყობა, სადაც ყოველი სამანევრო კომპონენტი დამოუკიდებელი მარშრუტით გადაადგილება, თუმცა ნებისმიერ პირობებში ძლიერი რეზერვის გამოყოფა აუცილებელია.

მთავარი დარტყმა მაქსიმალურად მოწინააღმდეგის ფლანგებსა და მისი კოლონიების ზურგზე უნდა იყოს მიმართული.

საჭირო როდენობის ძალების შემთხვევაში, შესაძლებელია ორმაგი შემორტყმა.

მხარეთა შეტების ხაზიდან 15-20 კმ-ის სიღრმეში დასაშვებია, რომ ზემოფენი სარდლობის მხარდაჭერით ბრიგადამ

კოლონის მარშის დროს აუცილებელია მისი სახეობითი საშუალებებით დაცვა

ასეულის დონის აერომობილური დესანტი გადასხას.

აუზარდობის მხრიდან ბრძოლის დაწყებისთანავე არტილერია საცეცხლე პოზიციებს იკავებს და დამოუკიდებლად ხსნის ცეცხლს მოწინააღმდეგის არტილერიის, მოწინავე დანაყოფებისა და ფლანგის მიმართულებით.

ტანკსაშიშო მიმართულებებში ძლიერდება ტ/სწინააღმდეგო და საინჟინრო ქვედანაყოფებით დახმარებული მიმართულებებზე საინჟინრო საშუაობის დანაყოფები საკუთარი ძალებით ასრულებენ.

პაერსწინააღმდეგო დანაყოფების გადაჯგუფება სვლიდან ბრძოლაში ჩართვისას თითქმის შეუძლებელია, ამდენად მათ უნდა შეასრულონ თავიანთი ამოცანა იმ დანაყოფთა შემადგენლობაში, რომელია განკარგულებაშიც იმყოფებიან.

მოკლე შეჩერებით ბრძოლიდან გამოლისას პაერსწინააღმდეგო ძალებისა და საშუალებების კონცენტრირება საშიშ მიმართულებებზე ხდება.

დასკვნის სახით შესაძლებელია მოკლედ ჩამოყალიბდეს ის იმპერატივები, რაც სამხედრო თეორიაში დღემდე უპირველი ბრძოლისა და სისხლის ფასად მიიღება და რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მეთაურებმა, განსაკუთრებით მაშინ, თუცა მათ მოქმედებაზე არა მარტო მათი პრესტიჟი, არამედ დაქვემდებარებულ სამხედროთა სიცოცხლე და საზოგადოდ, გამარჯვების ბუდა დამოკიდებული:

შემხვედრ ბრძოლაში ინიციატივის

მიუხედავად ამისა, აეროდრომებზე კაპონირების აღმოჩენა მაინც შეიძლება და განიღბას ასაფრენი ზოლიდან კაპონირისკენ მიმავალი ბეტონის ბილიკი ახდენს.

60-70-იან წლებში სპეციალისტები ამ პრობლემის გადაჭრას რაღიკალურად მიუღვნენ და საქმე სპეციალურმა ბეტონ ლეგონსაწინააღმდეგო ბომბების შექმნამ დააჩქარა.

სპეციალურად მსგავს ნაკებობებში მყოფი ობიექტების განსაღგურებლად შექმნილი ბომბები რამდენიმე მეტრის სისქის ბეტონს თავსუფლად არღვევდნენ. შესაბამისად, კაპონირების კედლების სისქის ზრდა მხოლოდ დროებითი გამოსაღღია და საჭიროა საავიაციო ბაზების მიწის ქვეშ გადატანა.

მსგავსი იღღები ჯერ კიდევ მეთრე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს ჰქონდათ და დაუზუსტებელი ცნობით ოკუპირებულ საფრანგეთში ააშენეს. ცეფი ომის დროს დამირისპირებულმა მხარეებმა გერმანელების გამოგონება გაიხსენეს. მიწისქვეშა საავიაციო ბაზები მეტწილად კღღეშია ნაკეთი და გართუ მხოლოდ სამანვერო ბილიკები და ასაფრენი ზოლია გამოტანილი. სამხედრო აეროდრომისთვის დამახასიათებელი მთელი ინფრასტრუქტურა კი პოტენციური მიწისაღმდეგის თვალისგან მთის მასივშია დამალული.

სამანვერო ბილიკს თვითმფრინავი მღაკვეს მთის ძირში განღავებული სპეციალურ შესასვლელამდე, რომლის ოქითაც უკვე მიწისქვეშა ავიაბაზა მღე-ბარობს.

ბაზები ერთდროულად რამდენიმე ათულ თვითმფრინავს იტკვს. აქვეა განღავებული საფრენისა და ტრევა-წამლის საცემი, მფრინავებისა და ტექნიკოსების ვაზარმდე, თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო სახელონობი და მოკღდე ვეულავიკის ის, რისი ხიღღაც ტრადიციულ სამხედრო აეროდრომზე შეიძლება.

ერთ-ერთი ასეთი ნაკებობა თანამედროვე ხორვატის ტერიტორიაზეა. საავიაციო ბაზა ზღღევაას (ობიექტი



ზელვაჟა ვეროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაცული სამხედრო აეროდრომი იყო

505“) მშენებლობა მაშინდელ თბილისში 1955 წელს დაიწყო და 1968 წელს დასრულდა. ნაგებობა მართლაც რომ უნიკალური გამოვიდა, — პლემე-ვიცას მთის მასივში განლაგებული ბაზა 20 კილომეტრის სიმაღლერის ატომური ბომბის პირდაპირ მოხვედრაზე იყო გათვლილი.

მთაში გამოკეთილი გვირაბების, თვითმფრინავების სადგომებისა და გასასვლელების საერთო სიგრძე 10 კმ-ზე მეტია. ბაზას ლათინური M-ის ფორმა აქვს და მისი ძირითადი ნაწილის სიგრძე 3,5 კმ-ია. ეს მონაკეთი მხოლოდ თვითმფრინავებისთვისაა განკუთვნილი. პლემევიცაში ერთდროულად 40-დან 70-მდე მიგ-21-ის ტიპის თვითმფრინავის (სხვა მონაცემებით, ბაზას 120 თვითმფრინავის დატემა შეუძლო) განთავსება შეიძლებოდა.

თავის დროზე, აქ მიგ-21-ი-ე-ებით აღჭურვილი 117-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის სამი ესკადრია და 323-ე სადაზვერუო ესკადრია (მიგ-21P) ბაზირდებდნენ. ყოფილი თბილისის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებისა და ოფიცრებისთვის აქ სამსახური პრესტიჟული იყო.

ბაზას წყლისა და ელექტროენერჯიის საკუთარი მარაგები ჰქონდა. აქ იყო ყველაფერი: საჯადმყოფო, თვითმფრინავების სარე-

მონტო სახელოსნოები და სათადარიგო ნაწილების მარაგი, საავიაციო შეიარაღების საწვობები, პირადი შემადგენლობის საცხოვრებელი ადგილები, ყველაფერი, რაც ბაზის ფუნქციონირებასთვის იყო საჭირო. აუთაბაზა საწვავს მიწისქვეშა მილსადენით 8 კმ-ით დაშორებული საცხებიდან იღებდა.

ზელვაჟაში ყველაფერი იმდენად კარგად იყო მოწყობილი, რომ ომის დაწყების შემთხვევაში არსებული რეზერვებით 30 დღე ფუნქციონირება შეეძლო. დავკვირდები იყო ზელვაჟას გადაიარაღება მიგ-29-ის ტიპის გამანადგურებლად, მაგრამ 1992 წლის 16 მაისს პლემევიცა და მისი შემოგარენი უძლიერესმა აფეთქებამ შეაზანზარა.

ბაზის შესასვლელიდან კი დიდი ცეცხლის აღი გამოვარდა, — უკან დახევისას, თბილისის სახალხო არმიამ ვეროპაში ერთ-ერთი დაცული სამხედრო აეროდრომი გაანადგურა. ამ მხზინ ბაზის გვირაბებში 56 ტონა ახაფეთქებელი ნივთიერება შეიტანეს. ახლდა, ყოფილ თბილისში იყო ყველაზე მეტი უძრავი სამხედრო ქონება იყო, შემქმნელებმა ის 8 მილიარდ დო-

ლარად შეაფასეს, მაგრამ რეალურად უფრო ძვირი იქნებოდა.

მსგავსი მიწისქვეშა საავიაციო ბაზა ევროპის კიდევ ერთ ქვეყანაში, შვედეთშია, მაგრამ ზელვაჟასგან განსხვავებით ის უფრო ხანდაზმულია.

ქალაქ გეტებორგის მახლობლად, მთაში, შვედეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი ბაზაა შემორჩენილი. ახლა აქ ენთუზიასტების ზელმწიფებით საავიაციო მუზეუმია. ათწლეულების წინ ის ეხ ერთ-ერთი გასაიდუმლოებული ობიექტი იყო.

ამ ადგილას თვითმფრინავების პირველი მიწისქვეშა ანგარების მშენებლობა აჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს დაიწყო და მისი ფართობი 8 ათას კვ.მ-ს შეადგენდა.


ცოი ომის დაწყებასა და ბირთვული უსაფრთხოების გაზრდასთან ერთად, შვედეთის მთავრობამ ამ მიწისქვეშა კომპლექსის გაფართოება გადაწყვიტა.

50-იანი წლების დასაწყისში იმდენ მთის მასივში ანგარების მეორე კომპლექსის მშენებლობა დაიწყო და მისი ფართობმა უკვე 22 ათას კვ.მ შეადგინა. 30 მ სიღრმეზე განლაგებული ეს მიწისქვეშა ბაზა ატომური ბომბის მოხვედრაზე იყო გათვლილი.

ანგარების მეორე კომპლექსის სხვადასხვა მხრიდან სამი შესასვლელი ჰქონდა. თვითმფრინავების მიღება ან გაშვება ნებისმიერი მთავანიდან შეიძლებოდა, ხოლო გასასვლელი პირდაპირ ახაფურხ-დასაფურხ ზოლგებთან გამოდიოდა. სამდე გასასვლელს სქელი ბეტონის კარები იცავდნენ.

მიწაში ღრმა განლაგებული საავიაციო ბაზიდან თვითმფრინავები გარეთ გამწვევს გამოჰყავდათ, ზელვაჟაში კი თვითმფრინავების ძრავების ამუშავება პირდაპირ ბაზაშივე ხდებოდა და გამანადგურებლები გარეთ თავისი სვლით გამოდიოდნენ.

ასე გამოიყურება, შვედეთში ქალაქ გეტებორგის მახლობლად, კლდეში გამოკეთილი მიწისქვეშა საავიაციო ბაზა





ჩინელები, მიწისქვეშა საავიაციო ბაზებში, არა მხოლოდ გამანადგურებლებს (მარჯვენა ფოტო), ბომბდამშენებსაც (მარცხენა ფოტო) მალავენ

ბირველსივან განსხვავებით, შვედური ბაზის ანგარების მეორე კომპლექსი მხოლოდ რეაქტიულ თვითმფრინავებს იღებდა და ის 109 თვითმფრინავზე და მათ შორის J-35 Draken-სა და J-37 Viggen-ზე იყო გათვლილი.

2003 წელს შვედეთის სამხედრო-საკაპრო ძალებმა მიწისქვეშა ბაზის ნაწილი გადასცა ენთოზიასტთა ჯგუფს, რომელმაც აქ საავიაციო მუზეუმი გახსნეს.

საბრძოლო თვითმფრინავების დაცვის საკმაოდ ორიგინალური მეთოდი შვეიცარიელებს აქვთ.

ქვეწმის ზომებიდან გამომდინარე, შვეიცარიელები სამხედრო აეროდრომებად ავტობანებს იყენებდნენ. ომის დროს აეროდრომების განადგურების შემთხვევაში საბრძოლო თვითმფრინავები ავტობანებიდან იმოქმედებდნენ.


დღეს შვეიცარიის ტერიტორიაზე ავტობანების მახლობლად ექვსი ობიექტი ფუნქციონირებს. თითოეული მათგანი 30-მდე თვითმფრინავს იტევს და კლდეებშია გამოკვეთილი, ხოლო გარედან ბეტონის კარებით არის დაცული.

უამრავი მიწისქვეშა საავიაციო ბაზა აქვთ ჩრდილო კორეასა და ჩინეთს. შვეიცარიის მსგავსად, ჩრდილო კორეაში აეროდრომებად ზოგჯერ ავტობანების სწორ უბნებს იყენებენ. ჩინეთს

კი არსებული ცნობებით 40-მდე მიწისქვეშა საავიაციო ბაზა აქვს.

მსგავსი დანიშნულების ნაგებობის მოღივანება მიწის ქვეშ განლაგების მიუხედავად, მათი აღმოჩენა მაინც შეუძლებელია. ასეთი ბაზის ასაფრენი ზოლიდან მთის მასივისკენ მიმავალი ბილიკი მაინც შესაძრწევია, მაგრამ კაპონირისგან განსხვავებით პაერიდან მიწისქვეშა საავიაციო ობიექტების განადგურება თითქმის შეუძლებელია.

ალექსანდრე ავაშიძე



ჩ3960 დონი: განსაკუთრებულად დაცული ობიექტების წინააღმდეგ ამერიკელები GBU-57-ის ტიპის ბომბების გამოყენებას გეგმავენ. დღეს ბუნკერსა-წინააღმდეგე ბომბების კლასში ის ყველაზე ძლიერია. 6.5 მ სიგრძისა 13600 კგ-ს იწონის. ამ ბომბთან კლდოვანი ქანებიც და რკინაბეტონიც უძლურია. მას 60 მ სიღრმეზე განლაგებული გამაგრებული ობიექტების განადგურებაც შეუძლია.

ასეთი ყვექტურობის მიღწევა ბომბის კორპუსის უნიკალური კონსტრუქციით არის შესაძლებელი, მისი კედლის სისქე 10 სმ-ს შეადგენს. ამ ყველაფერთან ერთად ბომბი კორექტირებადია, დამზინებას NAVSTAR-ის რადიონავიგაციური სისტემა უზრუნველყოფს.

დღი დამანგრეველი ძალის მიუხედავად, GBU-57-ს ერთი ნაკლი აქვს, დიდი გაბარიტებისა და მასის გამო მისი გამოყენება მხოლოდ სტრატეგიული ბომბდამშენებიდან შეიძლება.



ავთომობილები ჯავახანზე

ტრადიციულად ტანკების, ჯავახან-ტრანსპორტიორების, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა თუ სხვა ჯავახანტექნიკის ნომრებად ციფრები ან ციფრები ასობთან ერთად გამოიყენება.

ასე ბევრად ადვილია ბრძოლის დროს ხმაურსა და კვამლში ჯავახან-სატანკო ქვედანაყოფისთვის თვალის მიდევნება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უკიპაფებთან რადიოკავშირით ბრძანებისა თუ განკარგულების გადაცემა ან პირიქით, მათგან შეტყობინების მიღება.

ნომრები მეტწილად სამციფრიანია და ის ჯავახანტექნიკის კომპონის ან კორპუსის ბორტებზე, ან სხვა შესაძენე ადგილებზე თეთრი საღებავით იწერება.

ერთ შემთხვევაში ნომრები სრულიად უსისტემოა ან შესაძლებელია მას გარკვეული დატვირთვა ჰქონდეს და ტანკის ან სხვა ტექნიკის მფლობელი ქვედანაყოფის ნომრის აღნიშნავდეს.

1992 წლის აგვისტოში რუსეთის არმიის ახალციხის მე-10 მოტომსროლელმა დივიზიონიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ტანკები მიიღო, რომელთა ნომრები (№106, 111, 114, 116, 120, 131, 143, 144, 149, 150, 160, 170, 188, 193 და ა.შ.) უფრო შესაძლოა მოწინააღმდეგის (იგულისხმება თურქეთი) დაბნევაზე იყო გათვლილი.



ამ ტანკების ერთი ნაწილი შემდგომ ქართულმა ფორმირებებმა აფხაზეთში 1992-93 წლების საბრძოლო მოქმედებებში გამოიყენა.

ომის პირველ თვეებში ტანკებზე ძველი რუსული ნომრები ჯერ კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ ზოგიერთი ქვედანაყოფი საქმეს შემოქმედებითად მიუდგა და ტექნიკის საკუთარი ფორმირების სახელწოდება ან მისი ჩამოყალიბების ადგილის — რაიონის დასახელება დაუმატა.

1993 წლის დასაწყისიდან ტანკები კონკრეტულ ფორმირებებზე ასე თუ ისე, გადანაწილდა და ნუმერაციაში თითოეუ-

ლი ქვედანაყოფისთვის ინდივიდუალური სახე მიიღო.

მაგალითად, შინაგანი ჯარის ტანკების ნომრები ციფრი 7-ით იწყებოდა და შესაბამისად, T-55-ებს ჰქონდათ — №711, 712, 713, 714, 715, ხოლო ერთადერთი T-54 კი — №710-ს ატარებდა.

შინაგანი ჯარის ქვეითთა საბრძოლო მანქანების БМП-1-ების ნომრები კი 400, 411, 412, 413, 414 და 415 იყო.

გარდა ამისა, შინაგანი ჯარის ჯავახანტექნიკა საკუთარ ემბლემას ატარებდა, რითაც სხვებისგან გამოირჩეოდა.

გვარდის ცალკეული სატანკო-მექანიზებული პოლკის სატანკო ნომრე-

სოხუმის 23-ე ბრიგადის 236-ე ბატალიონის ტანკი ს614 Сурик — მტერთან ბრძოლებში დაღუპული სოხუმელი ტანკისტის სურენ კალაიჯიანი საპატრცემოლოდ ყწოდა





ეს ფოტო 1992 წლის ბოლოს ცხინვალის შემოგარენში ე.წ. „მანპაის“ დასახლებაშია გადაღებული. ქართველ მებრძოლებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით БРДМ-2-ს ოსმა მოლაშქრეებმა წარწერა На Тбилиси Чечня Шамил Басаев („თბილისზე ჩვენით შამილ ბასაევი“) გაუკეთეს



ირაკლი ალადაშვილის ფოტოებიდან

ბის პირველი ციფრი 4, ხოლო ქვევითა საბრძოლო მანქანების БМП-1-ების კი 7 იყო.

შესაბამისად გვარდიის ტანკების ნომრები — 401, 404, 408, 410, 412, 454, 455 და ა.შ., ხოლო ქვევითა საბრძოლო მანქანების კი 700, 702, 703, 704, 707 და სხვა იყო.

მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის სოხუმის 236-ე სატანკო ბატალიონის ნომრებში კი ასო „ს“ (სოხუმი) იყო გამოყენებული და ნუმერაცია ციფრი 6-ით (ს604, ს605, ს607, ს608, ს610, ს611, ს613, ს614, ს616 და ა.შ.) იწყებოდა.

რაც შეეხება ოჩამჩირის 24-ე მექანიზებული ბრიგადის ბატალიონების სატანკო ნომრებს, ამ შემთხვევაში პირველ ციფრად ორია (200, 201, 202, 204, 206 და ა.შ.) გამოყენებული.

ნუმერაციის ეს წესი არ იყო ყველგან დაცული და არცთუ იშვიათად ეკიპაჟები ნომრებს თავიანთი შტაფელუებისამებრ ცვლიდნენ.

იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა ქვედანაწილში ტანკები ერთსა და იმავე ნომრით ატარებდნენ. მაგალითად, ტანკი №200 ირიცხებოდა 23-ე მექანიზებული ბრიგადის ცალკეულ სატანკო ბატალიონში და ამავე ნომრის ტანკი 24-ე ბრიგადასაც ჰქონდა.

ომის დროს ჯერმანტყენიკაზე ნომრებთან ერთად ხშირად იწერებოდა მოწოდებები, დადუკულ ტანკისტთა სახელები, ტყენიკისთვის შექმნილი მეტსახელი და ა.შ.

ამ შემთხვევაში ინიციატეა და ფანტაზია მთლიანად ეკიპაჟის ხელში იყო

და ასე მოხატულ-გაფორმებულ ტანკი თუ ჯერმანტყენიკაში მოძრავი პროპაგანდისტული ტრიბუნის დანიშნულებასაც კი ასრულებდა.

1992-93 წლების ცხინვალისა და აფხაზეთის ომებიდან ამგვარი სამხედრო თვითშემოქმედებას რამდენიმე საინტერესო ფოტო შემორჩა, ზოგიერთის შესახებ კი ომის მონაწილენი ჰყვებიან.

ერთ-ერთ პირველ ნიმუშად კი, ალბათ, ერთნული გვარდიის БМП-1 უნდა ჩაითვალოს, რომლის კომპერას წარწერა „მართულა მეკელი“ ამჟღავნებდა. ეს საბრძოლო მანქანა იმ კოლონის საიავეში იყო, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს პირველი შევიდა აფხაზეთში.

1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს ქართული ფორმირებების განკარგულებაში იყო ტანკები სახელად



ქართველმა ტანკისტებმა ნაალაფარი Тигр Ансны 002-ზე სამახსოვრო ფოტო გადაიღეს

ერა კლი
ალადაშვილის
ფოტოგრაფიდან



„პანტერა“, „ელურვა“, ქვეითთა საბრძოლო მანქანები „პანტერა“, „პიტკინი“ (ჩოლუგაშვილის სახელობის ბატალიონი) და სხვ.

თვის მხრზე, აფხაზები თავიანთ ჯეჯმანტეკეჩიკას ხშირად აწერდნენ АПСНЫ-ს, რითაც ხაზს უსვამდნენ მის კოლეზიუბას. თუცა „აპსნიები“ არცთუ იშვიათად ქართულ ფორმირებებს რწებოდათ და შემდგომ მოშლურებს ებრძოდა.

აფხაზური არმიის ჯეჯმანსატანკო ბატალიონის შემადგენლობაში მყოფი თითქმის ყველა ტანკი თავის სახელს ატარებდა. ზოგიერთი მათგანი ცნობილია — №003 Сасрыкვა, №004 МустАНГ-ი (1993 წლის სექტემბერში სოხუმზე შეტევისას ქართულმა ტანკისტებმა გაანადგურეს), №010 Эшера, Ласточка, Бемби და სხვ.

უფრო მრავალფეროვან სახელებს ქვეითთა საბრძოლო მანქანები ატარებდნენ: Свободу Абхазии, Ягуар-, Пантера, Лыхны, Хищник-ი,

გაგრის ბატალიონის ტანკი N333 Гагრა, 1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცვაში მონაწილეობდა



აფხაზთა მე-2 ბატალიონის ქვეითთა საბრძოლო მანქანა



აღსანივლი კავშირის რაზმის აფხაზური შინაგანი ჯარის BMP-1 АПСНЫ კარავად გამოადგა

Зверейი და და ა.შ.

აფხაზურ ფორმირებებში და განსაკუთრებით ოჩამჩირის ფრონტზე ძალზე პოპულარული იყო ტანკი ТИГР-ი, რომლის ეკიპაჟიც სოფელ ლაბრის მოსახლეობით იყო დაკომპლექტებული.

ამ ეკიპაჟმა ომის დროს ოთხი ტანკი („ტიგრი“-1, 2, 3 და 4) გამოიყვლია. ერთ-ერთი კი, ТИГР АПСНЫ 002, აფხაზებს ქართველმა გვარდიელმა ტანკისტებმა 1993 წლის 1-ელ მარტს სოფელ ლაბრისთან დაატყუებინეს და ის 23-ე ბრიგადის ცალკეულ სატანკო ბატალიონის შემავტა.

ქვეითთა საბრძოლო მანქანა МалЫШ-ი ერთ-ერთი აფხაზური ფორმირების განკარგულებაში იყო, მაგრამ 1993 წლის ივლისში ის ბატალიონ „იოთარ არწევს“ ალაფად დარტა.

1993 წლის ივლისში ტამიშისათვის ბრძოლებში აფხაზურმა ეკიპაჟმა გამართული და საბრძოლო სამუდელეებით სრულად გაწყობილი ტანკი საინტერესო წარწერა-მარწელებით На

Кутаиси (ქუთაისისკენ) ისე სწრაფად მიატრეო, რომ ფეხსაცმელების ჩაცმაც ვერ მოასწრეს და შიგნით დატოვეს.

შეშორჩენილია ფოტო აფხაზურ ფორმირებათა სოხუმის მე-2 მოტიომ-სროლული ბატალიონის ქვეითთა საბრძოლო მანქანითა, რომელსაც აქვს წარწერა Эшера-Ингури. ამით მოწინააღმდეგეკ ომში თავისი მიხნები გამოხატა.

რუადქვისგან: დაინტერესებულ მკითხველებს უთხოვთ ამ თემისთან დაკავშირებული ფოტოები ან მასთან დაკავშირებული ეპიზოდები მოვგავწოდონ.

თქმური ჩაჩანიძე



„ნითელი ნაკოლონი“

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №1, 2012)

ნებისმიერ ომში მონაწილე მხარეთა წარმატებას განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი: აღჭურვილობა და ტაქტიკა. ნეზ-პერსეს ომში ამ ფაქტორებმა უმნიშვნელოვანესი როლი თამაშა. სწორედ ამ ფაქტორების კომბინაციის გამო გახდა ეს სამხედრო დაპირისპირება მეტად თავისებური და განუმეორებელი სამხედრო კამპანია აშშ-ის ინდიელთა ომების ისტორიაში.

სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით აშშ უპირატესობას ყოველთვის ფლობდა და ამ გარემოებამ განაპირობა კიდევ მეტწილად ბრძოლებში ფედერალების გამარჯვება. ნეზ-პერსეს ომში გადასწვევტი სიტუაცია ხომ სწორედ ამერიკულად არტილერიამ თქვა.

ინდიელებსაც ჰქონდათ უპირატესობანი. ნიჭიერი სამხედრო ბელადები ის ზღომდავანლობით ნეზ-პერსეს ტომმა მაქსიმალურად გამოაყენინა საბრძოლო პოტენციალი. ისინი გამოცდილი, მოტივირებული მეომრები იყვნენ. მეზობელ ტომებთან დაუსრულებელი დაპირისპირებების წყალობით ნეზ-პერსეს საბრძოლო კულტურა თაობათა შინაძილზე იხვეწებოდა. რაც მთავარია, ისინი შვეკულები იყვნენ ადგილობრივ გეოგრაფიულ-კლიმა-

ტურ პირობებს და კარგად იცნობდნენ რელიეფის თავისებურებებს.

ნეზ-პერსეს ბანაკი საკმაოდ მობილური და სწრაფი იყო. ინდიელებს ცხენების მოვლაზე, საკვების მოძიებაზე თუ სხვა ლოჯისტიკურ საკითხებზე ნაკლებად უწევდათ ზრუნვა. მაშინ როდესაც ფედერალურ ფორმირებებს საკვებისა თუ ცხენების მოვლის პრობლემები ბევრად მეტ საზრუნავს უწინდა.

ინდიელებისა და მათ შორის ნეზ-პერსეს საყვარელი სამბრძოლო ტაქტიკა იყო რეიდი. მეომართა ერთიანი დიდი ჯგუფი იშლებოდა ცალ-ცალკე სარიელი რაზმებად. რაზმები დამოუკიდებლად ესწიოდნენ თავს მოწინააღმდეგეს.

ინდიელთა რეიდი ახასიათებდა მოულოდნელობა, სისწრაფე და მობილობა. არმიელებისგან განსხვავებით ინდიელები ბრძოლაში ბევრად უკეთ იყენებდნენ კლიმატურ პირობებსა და ლანდშაფტის თავისებურებებს. შეიძლება თთქვას, რომ ამ გარემოებას მეომართათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და განაპირობებდა თავდასხმის წარმატებასა და მეომართა დაბად სიკვდილიანობას.

ინდიელთა კიდევ ერთი გამორჩეული საბრძოლო ტაქტიკა ჩასაფრება იყო. მეომრები თითქოს ეწვეოდნენ ბუნებას, მათი ჩასაფრების პოზიციის დანახვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ჩასაფრებას რამდენიმე მიზანი ჰქონდა. პირველ რიგში, ამ პოზიციიდან სროლა მარშირებისას კავალერისტა თუ ქვეითთა კოლონების პარალიზებას იწყევდა და ხშირად მათ უკან დახვევას აიძულებდა.

ასევე აღსანიშნავია ჩასაფრებისა და რეიდის კომბინაცია, რაც ასევე მოიგებინა ტაქტიკა იყო. ჩასაფრებული ინდიელები არმიელთა წყობას არღვევდნენ, უკან ახეენებდნენ, ქაიის შეპქინდათ ქვეითთა თუ კავალერისტა რიგებში. ამ დროს ინდიელ მეომართა რაზმი რეიდს ატარებდა. ასეთ მომენტში ვარისკაცთა ბრძოლისუნარიანობა ეცემოდა, ხოლო არმიელთა ფორმირებებს მოულოდნელად თავს დატყობოდა რეიდი დიდად აზარალბდა. ინდიელთა ტაქტიკურმა ზერზებმა არმიელებს 1877 წლის ომში მრავალი პრობლემა შეუქმნა.

ტრადიციული შეიარაღებული კონფლიქტების დროს ნეზ-პერსე აყაობებდა ე. წ. სამხედრო პარტიებს — მობილურ და კორდინირებულად მოქმედ მეომართა ჯგუფებს. ბრძოლისას ინდიელების მთავარი უპირატესობა იყო მოულოდნელი თავდასხმა. უფრო ძლიერ ძალასთან დაპირისპირებისას უკან დახვევა მეომართათვის მისაღები იყო და სირცხვილად არ ითვლებოდა. ნეზ-პერსე ყოველთვის ცდილობდა დაჭრილი მეომრები გადაეჩინა, ხოლო მიცალკეულები კი დაეკრძალა.



1877 წლის ოშში ნეზ-პერსეს აღჭურვილობაში ტრადიციულ შუარანდებსთან (შშუილდ-ისრები, ბიზონის ძელის საბრძოლო კვერთხი, შუბები, ხელცულები და სხვ.) ერთად ცეცხლსასროლი იარაღი (Spencer-ის კარაბინი, ასევე კაჟიანი თოფები, მუშუქტები და პისტოლეტები) შედიოდა.

აშშ-ის სამოქალაქო ოშში Spencer-ი ერთ-ერთი გავრცელებული იარაღი იყო. ინდიელები ყიდდნენ ბიზონის თავს, საბნებს, ცხენებს და ხანაცვლოდ „სპენსერის“ კარაბინებს ყიდულობდნენ.

ჯერ კიდევ 1867 წლიდან შტაბში დადგა საკითხი, რომ დასავლეთში ინდიელებთან ბრძოლაში ჯარისკაცებს მლაფერი საშუალება ესპატორიონადი ეს იარაღი გახდა 50-კალიბრიანი Springfield-ი. იგი ფართოდ გამოიყენებოდა საკავალერიო პოლკებში.

„სპინიგფილდიანი“ ერთად პოპულარული იყო „სპენსერის“ კარაბინებიც. თუმცა, ინდიელებთან ომებში ფედერალების დამარცხებული ძალა მანც არტილერია იყო.

ფრონტიონის ეპოქის საარტილერიო ტექნიკიდან აღსანიშნავია 12-გიგანქიანი და 1,65 ინჩის (4,191 სმ) Hotchkiss-ის სამიო პაუბიცა, რომელმაც ნეზ-პერსეს წინააღმდეგობას წერტილი დაუსვა.

Hotchkiss-ის პაუბიცა იყო მარტივი, ჰქონდა საიმელო მექანიზმი და რაც მთავარია, საკმაოდ ზუსტად დამიზნების შესაძლებლობას იძლეოდა.

Hotchkiss-ი აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 1876 წელს გამოიწინა და ეფექტურად გამოიყენეს დასავლეთის დაბლობებსა და მთებში ინდიელთა წინააღმდეგობების ჩასახშობად. ნეზ-პერსეს ომის ბოლო ბრძოლაში სწორედ ამ ქვეშეშემა გამარჯვებინა აშშ-ის არმიას. საარტილერიო განსიროლების ხმა და ძალა ინდიელთათვის უზეულო იყო. არტილერია მეომრებს აფრთხობდა, ბანაკს ატოფებინებდა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილს უკარგავდა.

ნეზ-პერსეს კამპანიაში აჩვენა, რომ პროგრესის მიუხედავად, აშშ-ის არმიის შტაბში ჯერ კიდევ არ იცოდნენ ინდიელთა საბრძოლო ხელოვნების ნიუანსები. ამ ინფორმაციის უკონლობამ გააჭიანურა ომი და ამერიკელებს საჭიროზე მეტი რესურსები დაახარჯევინა.

მაგალითად, იმ დროისთვის აშშ-ის არმიამ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შე-

მუშავებული დოქტრინა მოწინააღმდეგვის ბანაკიდან ცენტრალური ფიგურის იზოლაციასა და ხელში ჩაგდებაზე. არადა, ეს მეთოდი ნეზ-პერსესთან ომში ფედერალებს უთუოდ გამოადგებოდათ.

ბელად ჯოზეფის აყენას კაპიტულაციებზე მალე მოჰყვებოდა და ომი ციცილებით მალე დამთავრდებოდა (ამ მთიელმა ჯერ კიდევ 1830-იან წლებში გაამართლა, როცა ფლორიდამ აშშ-ის და სემინოლების ომისას ბელად ოციკოლას დატყვევებამ ინდიელთა წინააღმდეგობა ერთიორად შეაუხუსტა და მეომართა დემორალიზაციაც გამოიწვია). თუმცა ამ მიმართულებით 1877 წლის კამპანიაში სარდლებს არაფერი მოუძოქმელებოდათ.

ქლიარუოთორთან განცდილი მიძემე დარტყმის შემდეგ ინდიელებმა უაიპის პრერიისკენ დაიხიეს. გენერალი პაუარდ ინდიელებს დაედგინა, მაგრამ 17 თელის ინ-

ინდიელი მებრძოლი



დიელებმა უაიპის პრერიაში 21-ქე ქვეითა პოლკის მათორ ედვინ მელსონის რაზმის შეტვეა მოიყვარეს.

უაიპის პრერიაში გამართულ საბჭოზე ინდიელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ე. წ. ღილოს მარშრუტით მანთინაში გადასვლას, მოკავშირე ქროუსა და ფლეიშმანის ინდიელებთან შტევედრას, იქლანი კი კანადაში გადასვლას და სითინგ ბულის მეთაურობით დაკოტიდან გადახვეწილი სუს ინდიელებთან შტევერებას.

ჯოზეფმა ეს მარშრუტი საზიფათოდ ჩათვალა და მხარი არ დაუჭირა. ბელადი თელიდა, რომ უმჯობესია იყო მშობლიურ უალა-უალას ტერიტორიებზე დაბრუნება და წინააართა მიწების დაცვა.

სხვათა შორის, ბელად ჯოზეფის როლი და ფუნქცია საზოგადოებაში არასწორად გაიფო. 2 ათას 900 კმ-იან გზაზე არმიელთა არაერთი შეტვეის მოგვრეებას სწორედ ჯოზეფის ბრწყინვალე სტრატეგიულ ნიჭს მიაწერდნენ, რადგან იგი იყო ამერიკულიაოვის ნეზ-პერსეს ყველაზე ცნობილი ბელადი. შესაბამისად, საზოგადოების



Hotchkiss-ის სამთო პაუბიცა: წონა — 164,2 კგ, სროლის მაქსიმალური მანძილი — 3200 მ, ჭერვის წონა — 5,44 კგ.

თვალში ჯოზეფის, როგორც გენიოსი სამხედრო ლიდერის დამსახურება იყო კანადისკენ წარმატებული მსვლელობა. სწორედ ამიტომ შეაჩვენეს მას „წითელი ნაპოლეონი“. სინამდვილეში კი ჯოზეფი სულაც არ ყოფილა ნებ-პერსეს სამხედრო ლიდერი.

აშშ-თან ომის დროს საბრძოლო-სტრატეგიული საკითხების განხილვაში ჯოზეფი პრაქტიკულად არ მონაწილეობდა. მას სრულიად სხვა, აღმნიშვნელი ფუნქციები ჰქონდა.

1877 წლის ომში ბელადი კორინიანციას უწევდა ბანაკის მოძრაობასა და განლაგებას, ზრუნავდა ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოებაზე, მეთვალყურეობდა ცხენების ჯოგებს (ინდიელებს დაახლოებით 2-3 ათასი ცხენი ჰყავდა).

ჯოზეფი იბძობდა როგორც თავისი ხალხის ერთგული რიგითი მეთომარი, იგი არასდროს ყოფილა მხეჯარითმთავარი. დამად სულიერი პიროვნება იყო და ინდიელთა ტრადიციებს უფრთხილდებოდა. გამოირჩეოდა მშვიდობისმოყვარეობით, სურდა ხელისუფლებასთან ყველა პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება და ინდიელთა და ამერიკელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებაზე ოცნებობდა.

9-10 აგვისტოს ნებ-პერსემ ბივ პოულთან დიდი დანაკარგით მოიგერია პოლკოვნიკ ჯონ გიბონის მოულოდნელი თავდასხმა. გენერალი პაუარდლიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბანაკს.

გიბონის შეტევამ ინდიელები დაარწმუნა, რომ ისინი დიდი საფრთხის წინაშე იყვნენ. ტომის ბელადებმა არა-

ვემეტური ხელმძღვანელობის გამო ლიდერობიდან ლუქინგ გლასი გადააყენეს და ახალ წინამძღოლად პოკერ ჯო დანიშნეს.

ბანაკმა ბენექის ხეობის გავლით კიდევ ერთხელ გადაკვეთა ბიოტურეთის მთები და აიდაპოს მხარეს გავიდა. 20 აგვისტოს ნებ-პერსემ დიდი ძაღლის-ხმვით შეაჩერა ქამას მედლოუსან წამოწყული გენერალი პაუარდი. ქროუსა და ფლეტჩერის ინდიელებმა უარი უთხრეს დახმარებაზე ნებ-პერსეს. 13 სექტემბერს ინდიელებმა მანთინის სამხრეთში, ქეინონ კრიკთან კვლავ შეაჩერეს არმიელები. 23 სექტემბერს ბანაკმა მდ. მისულის მიაღწია.

ამჯერად ფორტ კოლუმში მყოფმა თავად ნელსონ მაილსმა დაიწყო მოხილბოზაცა და ინდიელთა წინააღმდეგ დაიძრა. 29 სექტემბერს ნებ-პერსე ბეარ ფლო მანთინისის ახლოს, სნეიქ კრიკთან დაბანაკდა.

ამ დროისთვის მათ 2 ათას 574 კმ ჰქონდათ გავლილი და კანადამდე კი სულ რაღაც 64 კმ რჩებოდათ ბელადები ვარაუდობდნენ, რომ არმიელები საკმარისი მანძილით ჩამოიტოვებს და შეეხვევება გაღმწვივრებს.

პოლკოვნიკი მაილსი კი დროს არ კარგავდა და ბეარ ფლო მანთინისისკენ მოზრდილი რაზმით თითქმის 400 ვარისკაცით პრტილერასთან ერთად მიემართებოდა. სამხედროებს ლაკოტასა და შაინის ტომის სკაუტებიც ეხმარებოდნენ.

30 სექტემბერს არმიამ ინდიელებს ორჯერ უშუდგოვლ შეუტია, მაგრამ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ბრძოლებს შეწყვიტა ბელადი პოკერ ჯო, ჯოზეფის მძა ოლოტოტი. ამ ამბავმა ინდიელთა ბანაკში დემორალიზაცია შეიტანა.

დამით თოვლი წამოვიდა და ძლიერ მოყინა. ალყაში მოქცეულ ბანაკში სურსათი გამოილია, თბილი ტანსაცმელიც არ ჰქონდათ 418 კაცში 300-მდე ქალი და ბავშვი იყო.

1-ელ ოქტომბერს ქვეშების ხმამ ბანაკის მიუდგომლობას წერტილი დაუსვა. წინააღმდეგობის გაწევა კატასტროფით დამთავრდებოდა.

4 ოქტომბერს ბრძოლის ველზე თავის რაზმთან ერთად გენერალი პაუარდლიც გამოიწინა. კამპიტულაციამდე ინდიელებს კიდევ ერთი ტრაგედია დაატყდა თავს, — არმიის მიკავშირე ინდიელმა სკაუტმა ბელადი ლუქინგ გლასი მოკლა.

5 ოქტომბერს ბელადმა ჯოზეფმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, — ინდიელები დანებდნენ, ნებ-პერსეს ომი დამთავრდა და იარაღი გენერალ პაუარდს პირადად გადასცა.

ომის შემდგომ ჯოზეფი დაუცხრიმლად ცდილობდა ტომისთვის წინაპართა მიწების უკან დაბრუნებასა და უკეთესი მომავლის შექმნას. სახელგანთქანი ბელადი 1904 წელს გარდაიცვალა, ექიმის თქმით „გატყბილი გუნის“ გამო.

ისინილ გარემოში



ბელადი ლუქინგ გლასი

ავიასია და მზის ენერჯია



ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან ერთად ენერჯის ალტერნატიულ წყაროთა მოძიება სულ უფრო აქტუალური ხდება, რადგან ტრადიციული წყაროების — ნავთობისა და გაზის მარაგი ნელ-ნელა მცირდება. მართალია, სასარგებლო წიაღისეულის წარმოქმნა უწყვეტი პროცესია, მაგრამ ბუნებას არ ძალუბს ადამიანის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ადრე თუ გვიან, საწვავის სხვა სახეობებზე გადასვლა აუცილებელი იქნება.

აშწლეულებაა, რაც ატომური ენერჯია ხალხის სამსახურში ჩადგა, მაგრამ ის იმედროულად დიდ საფრთხეს შეიცავს და თანაც მისი გამოყენება ჯერჯერობით მხოლოდ საზღვაო მცურავ საშუალებებზეა შესაძლებელი.

აიაციაში საწვავის ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტი მზის ენერჯიაა. მართალია, ბიოსაწვავისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე მას მხოლოდ ექსპერიმენტულ აპარატებზე იყენებენ და სერიულ თვითმფრინავებამდე ჯერ შორსაა, მაგრამ პროგრესი მაინც არის.

მზის ენერჯის გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო. მეცნიერმა ალექსანდრ სტოლტოვმა პირველი მოქმედი ფოტოელემენტი გააკეთა, — მიწყოზობლია, რომელიც ფოტონებს ელექტროენერჯად გარდაქმნის.

გვიდა დრო და გამოიგონეს მზის ელემენტები და კოლექტორები. კოლექტორი ელექტროენერჯის არ გამოიმუშავებს, მაგრამ მზისგან მიღებული სითბოთი სითბოგადამტან ნივთიერებას (მაგალითად, წყალს) აცხელებს.

მზის ელემენტები განსხვავებული



24384 მ-ის სიმაღლეზე ასვლით, უპილოტო Pathfinder Plus-მა ხრახნიანი თვითმფრინავებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა

პრინციპით მუშაობენ და მზისგან მიღებულ ენერჯის მუდმივ დენად გარდაქმნიან. ელექტროენერჯის მისაღებად ეს ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდია.

მაგალითად, კოსმოსში ენერჯის წყარო მზის ელემენტებია, ხოლო პირველი ავტოსატრანსპორტო საშუალება — ოთხთავა ურთკა მასზე დამაგრებული ელექტროძრავით 1841 წელს გამოიგონეს, შიდაწვის ძრავის შექმნამდე ბევრად ადრე.

საფრენ აპარატებზე ელექტროძრავის გამოყენების იდეა ადამიანს კარგა ხნის წინ გაუჩნდა, მაგრამ რეალიზებას ელექტროძრავებისა და ენერჯის წყაროების დაბალი სიმძლავრე აფერხებდა. იდვის მოკვლა შეუძლებელია, ადრე თუ გვიან ხორცი მაინც შეესხმება.

კუნთების ენერჯით მოძუქვე ექსპე-

რიმენტული თვითმფრინავის შექმნის შემდეგ, ბრიტანელმა პიტერ მაკკრიდამ ელექტროძრავიანი თვითმფრინავის აგება მოინდომა და ენერჯის წყაროდ მზის ელემენტები გამოიყენა, მაგრამ Gossamer Penguin-ის ენერჯის სტუმის სიმძლავრე არასაკმარისი აღმოჩნდა და მან მხოლოდ 3 კმ იფრინა.

მაკკრიდი იმდღს არ კარგავდა და თვითმფრინავი საფუძვლიანად გადააკეთა. მზის ელემენტების რაოდენობა 16 ათას 128-მდე (ასეთი რაოდენობის მიუხედავად, ჯამური მასა მხოლოდ 21 კგ იყო) გაზარდა. ახალი Solar Challenger-ის ფრთის გაქმნა 14,3 მ-ს, ხოლო სიგრძემ კი 8,3 მ-ს მიაღწია. უპილოტო ის სულ 90 კმ-ს იფრინდა.

1981 წლის ივლისში მსოფლიო ავიაციის ისტორიაში ის პირველი თვით-

NASA-ს ველაზე ამბიციურმა პროექტმა Helios-მა, თავისი ხიციოზული წინარე იდეაში დაასრულა



მერინაუი იყო, რომელმაც პარიზიდან ბრიტანულ მენსტონამდე 262 კმ მხოლოდ შვის ენერჯის გამოყენებით იფრინა.

პილოტირებული ელექტროთვითმფრინავების გარდა მუშაობა მზისელემენტებიან უპილოტო საფრენ აპარატებზეც მიმდინარეობს. მზის ენერჯის გამოყენებით მსგავს აპარატებს პაერში პრაქტიკულად შეუძლებელია ყოფნა შეუძლიათ, ხოლო გამოყენების არეალი

ფართოა: დაზვერვა, ატმოსფეროს მონიტორინგი, გადაცემების რეტრანსლირება და ა.შ.

მსოფლიოში პირველი ამგვარი საფრენი აპარატია ამერიკული Sunrise I, რომელიც პაერში 1974 წლის 4 ნოემბერს აფრინდა. მასზე ათასი მზის ელემენტი იყო დაყენებული და უდრუბლო ამინდში მაქსიმალური 6100 მ სიმაღლეზე ფრენა შეეძლო. ამ დროს ფრთის გაქანი 9.75 მ-ს შეადგენდა.

მზის ენერჯიაზე მფრენი უპილოტო თვითმფრინავები — მარტინეი Pathfinder Plus-ი, მარჯენე — Helios-ი



ერთი წლის შემდეგ პაერში გამოიცადა მისი გაუმჯობესებული ვარიანტი — Sunrise II, რომელზეც 4 ათას 480 მზის ელემენტი წინამობრების მსგავსად ფრთის ზედაპირზე იყო განლაგებული.

ამერიკელები ეროპელთა მიღწევებს თვალს ყურადღებით ადევნებდნენ და Solar Challenger-ის წარმატებით შთაგონებულმა ახალ პროექტზე დაიწყეს მუშაობა. NASA-ს დაკვეთით კომპანია SkyTower-მა დიდ სიმაღლეზე, მზის ენერჯით მფრენ უპილოტოზე მუშაობას შეუდგა.

უცნაური იერის აპარატი, სახელად HALSOL-ი, პირველად 1983 წლის თენისში აფრინდა. 30 მ-ის ფრთის გაქანის მქონე აპარატი მხოლოდ კომპონიციური მასალებით არის დამზადებული.

საპროექტო სამუშაო გასაიდუმლოებული იყო, ხოლო გამოცდა 1983 წლის ზაფხულში ნეადის შტატში, დახურულ სამხედრო ბაზა „გრემ-ლეიქში“ ჩატარდა. შესრულდა 9 საცდელი გაფრენა. სხვათა შორის, იმავე პერიოდში იმავე სიმაღლეზე გამოცდას არანაკლებ საიდუმლო თვითმფრინავი F-117A გადიოდა.

გამოცდის დროს მზის ელემენტების დაზიანება სიმძლავრე გამოვლინდა და აპარატის გაუმჯობესებას სპეციალისტებმა თითქმის 10 წელი მოანდომეს.

1995 წლის 11 სექტემბერს მოიდრინებულმა აპარატმა სახელად Pathfinder-მა 15 ათას 400 მ სიმაღლეზე მაღლია, რითაც მზის ენერჯიაზე მფრენ თვითმფრინავებს შორის ახალი რეკორდი დაამყარა.

ამ აპარატს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა, — მისი გამოყენება მხოლოდ დღისით შეიძლებოდა, რადგან მზის ენერჯის შეშინახული მოწყობილობა არ გააჩნდა და დაბნელებასთან ერთად მიწაზე უნდა დაშვებულიყო. დამე ფრენისთვის, მზის ელემენტებით გამოიშვებული ენერჯის ნაწილი ელექტროძრავების მუშაობას ხმარდება, ნაწილი კი აკუმულატორებში უნდა ინახებოდა.

ნაკლის გამოსასწორებლად სპეციალისტებმა გაზრდილი ფრთის გაქანის მქონე ახალი მოდიფიკაცია **Pathfinder Plus+**-ი დაამზადეს. ამერიიდან მას პაერში ჟიუნა პრაქტიკულად შეუზღუდავად შეეძლო. მისი შემქმნელი ინჟინერების მტკიცებით, აპარატს დაჯლის გარეშე, არც მეტი, არც ნაკლები, ფრენა 6 თვე შეუძლია.

გამოცდისას აპარატმა ჯერ 21 ათას 336 მ-ზე, ხოლო 1998 წლის 6 აგვისტოს კი 24 ათას 384 მ-ის სიმაღლეზე ასვლა შეძლო, რაც ხრახნიანი თვითმფრინავებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდია. ასეთი საფრენისონო მახასიათებლებს ამოღება მსუბუქი კონსტრუქციისა და დიდი გაქანის ფრთის წყალობით მოხერხდა.

შხის ენერგიაზე მომუშავე შემდგომი თაობის ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი **Centurion**-ია. „მფრინავი ფრთის“ სქემით შექმნილი თვითმფრინავის მთელი ფრთის ზედაპირი შხის ელემენტებით იყო დაფარული და მისი ფრთის ფართობი 63 კმ-ს შეადგენდა, რაც წინამორბედ **Pathfinder**-ის ანალოგიურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატებოდა.

„ცენტურიონის“ გამოცდა **NASA**-მ 1998 წლიდან დაიწყო. ერთი წლის შემდეგ მის კონსტრუქციაში ცვლილებები შეიტანეს. ამერიიდან მოდიფიცირებულ თვითმფრინავს შხის ღმერთის პატელსაცმად **Helios**-ი შეარქვეს.

შხის ენერგიაზე მფრენ უპილოტოებში „ჰელიონის“ **NASA**-ს ყველაზე ამბიციური პროექტია. 75 მ-ის ფრთის გაქანისას, რაც „ბოინგ 747“-ის იმავე მაჩვენებელს აღემატება, მისი ზედა ზედაპირი 62 ათასი 120 შხის ელემენტით არის დაფარული და თეორიული გაოვლებით

30 ათას მ-ზე ფრენა უნდა შეძლოს.

ამ უნიკალურ თვითმფრინავს 2-ცხ. ძალიანი 14 ძრავა აქვს.

„ჰელიონის“ მთლიანად შხის ენერგიაზე მფრენი თვითმფრინავი მაინც არ არის. ის პიპრილია, დღისით შხის ენერგიას და დამით კი საწვავის ელემენტებს იყენებს. ამ უნიკალური მიგნებით თვითმფრინავს პაერში შეუქმნებლად 24 სთ შეუძლია დაჰყო.

2001 წლის აგვისტოში თვითმფრინავმა 28 ათას 800 მ-ზე 40 წუთი იფრინა, ხოლო მომდევნო დღეებში 29 ათას 523 მ-ის მიღწევით ხრახნიანი ძრავებით აღჭურვილი თვითმფრინავებისთვის ახალი არაოფიციალური რეკორდი დაამყარა.

მახასიათებელთა გასაუმჯობესებლად და დამით ფრენების შესასრულებლად მასზე წყალობის ელემენტების დაყენება დაგეგმილი, მაგრამ ძალე ბუდმა პროექტს ზურგი შეაქცია — 2003 წლის 26 ივნისს, მორიგი საცდელი გაფრენისას,

თვითმფრინავი პაერში დაიშალა და ოკეანეში ჩაყარდა.

სანამ **NASA** „ჰელიონის“ ცდილა, გულხელდაკრეფვლი არც ევროპელები ისხდნენ. შვეიცარიაში ცნობილი მელიორენმა და მოგზაურმა ბერტრან პიკარმა შხის ენერგიაზე მფრენი პილოტირებადი თვითმფრინავი **Solar Impulse** ააგო.

მისი ფრთები მთლიანად შხის ელემენტებით არის დაფარული. საფრენი აპარატის სიგრძე 21.8 მ, ფრთის გაქანი კი 63.4 მ-ია. ეს კი ტრანსატლანტიკურ ლაინერ **A340**-ზე მეტია. აპარატს ოთხი ძრავა აქვს და ის მხოლოდ 1600 კგ-ს იწონის.

პიკარის თვითმფრინავი პაერში პირველად 2009 წლის 3 დეკემბერს აფრინდა.

პართალია, ეს არც პირველი და არც მხოლოდ პილოტირებადი საფრენი აპარატია, რომელიც მხოლოდ შხის ენერგიაზე

ამერიკელების პარალელურად, შხის ენერგიაზე მფრენი თვითმფრინავი ევროპელებმაც შექმნეს. მაგრამ ამერიკელებისგან განსხვავებით Solar Impulse პილოტირებადია



ევროპულმა **Solar Impulse**-მა პაერში 26 საათი დაჰყო





ით დაფრინავს. აქამდე მზისგან მიღებული ელექტროენერჯით დღედაღამ ფრენას მხოლოდ უპილოტო აპარატები ახერხებენ.

2010 წლის 7-8 ივლისს Solar Impulse პაერში ახალი რეკორდების დასაწყობებლად აფრინდა და აეროდრომზე 26 სთ-ის შემდეგ დაეშვა. ფრენის მაქსიმალურმა სიმაღლემ 8 ათას 700 მ შეადგინა. მის ფრთებზე განლაგებული 12 ათასი მზის ელემენტი მიღებული ენერჯის ნაწილს აკუმულატორებს გადაცემს. ეს ენერჯია კი ღამით ფრენისთვის საკმარისია. თუორიულად Solar Impulse-მა პაერში შეუძლებლად უნდა გაძლოს და მისი ფრენის ხანგრძლივობა მხოლოდ პილოტის ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

გასული წლის 13 მაისს თეთიმფრინავი, რომელსაც პიკარის პარტნიორი,

რეჟიმი დოსიმ: 2010 წლის თებერვალში ინჟინერმა რაფაელ დომიანმა მზის ენერჯიაზე მომუშავე კატამარანი წარმოადგინა. ამ უცნაური ზომილი მისი ავტორი დედამიწის გარშემო მოგზაურობას გვამყვს. თურანორ PlanetSolar-ის წყალსწვევა 60 ტონაა, სიგრძე 31, ხოლო სიგანე 15 მეტრი. ზომილი მაქსიმალურ 14 კვანძ სინქარეს ავიაარებს, რაც 25 კმ/სთ-ის ეკვივალენტია. ამ უცნაურ კატამარანს ბორტზე 40 კაცის მიღება შეუძლია. მისი გემბანის შთელი ზედაპირი დაახლოებით 500 კვმ მოთლიანად მზის ელემენტებით არის დაფარული.

ანდრე ბორგშერგი მართავდა, შვეიცარიიდან ბელგიაში გადაფრინდა.

მომავალში პიკარი ჯერ ტრანსატლანტიკურ ფრენას, შემდგომ კი დედამიწის გარშემო მოგზაურობასაც გვამყვს. ამისთვის ის მეორე Solar Impulse-ს აშენებს. მისი ფრთის გაქანი 80 მ იქნება, რაც მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზაო ლაინერ A380-ის ფრთის გაქანზე მეტია. თუ ყველაფერი გვემის მიხედვით წარიმართა, მამინ დედამიწის გარშემო მზის ენერჯიაზე

მფრენი თეთიმფრინავით პიკარი 2012 წელს იმოგზაურებს. თუ მზის ელემენტებისა და ენერჯის შენახველი მსოფლიოების განვითარების ამჟამინდელი ტემპი მომავალშიც შენარჩუნდება, უკვე 40-50 წლის შემდეგ შესაძლებელია, პიკარიდღედაღამ მზის უპილოტო საფრენმა აპარატებმა თანამგზაურები შეეცალონ.

ალექსანდრა ავაძიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)

	Pathfinder	Pathfinder Plus	Centurion	Helios HP01	Helios HP03
სიგრძე, მ	3.6	3.6	3.6	3.6	5
ფრთის გაქანი, მ	29.5	36.6	61.8	75.3	75.3
ფრენის სიმაღლე, მ	21802	24445	—	29523	19812
მაქსიმალური ახაფრენი წონა, კგ	252	315	862	929	1052
ძრავების რაოდენობა	6	8	14	14	10



კნუდი I

994-1035

კნუდი I, იგივე კნუდი დიდი, იყო ვიკინგი მებრძოლი, რომელიც თავისი იმპერიის – ინგლისის, დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის ნაწილის მმართველი გახდა.

მამამისი დანიის მეფე სვენ I ჩანგალწვერა იყო, პაპა – ჰარალდი ლურჯებილა, ხოლო დიდი პაპა კი მეფე გორმი მოხუცი, რომელმაც დანია გააერთიანა. 1000 წელს მეფე ეთელრედ უნგნურმა კენტელ მენისა და დანელაგის ნაწილის დარბევა დაიწყო, რათა როგორც გაეძევებინა ვიკინგები. 1002 წელს მან ნორმანდიის ჰერცოგ რიჩარდთან შეკრა კავშირი, მისი და, ეთელრედ II-ის ქვრივი, ემა ნორმანდიელი შეირთო ცოლად და ინგლისში ყველა დანიელის ამოკლება ბრძანა. დახოცილთა შორის სვენ ჩანგალწვერას და და სიძე, პალტიგიც, იყვნენ. მეფე სვენმა, კნუდი დიდის შვილმა პირველი ცოლისგან და თანამმართველმა შურის საძიებლად 1003 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი დალაშქრა, 1004 წელს ერთხელ კიდევ დაარბია, მაგრამ წლისთავზე შიმშილმა უკანვე, დანიაში დაბრუნება აიძულა.



ქრონოლოგია

994 — დაიბადა.

1013 — შეუერთდა მამის ვაჟის ინგლისში შეჭრისას.

1016 — ინგლისის მეფე გახდა.

1019 — ვიდა დანიის სამეფო ტახტზე.

1027 — შოტლანდიის მეფე ადიარა.

1028 — ნორვეგიის მეფე გახდა.

1035 — გარდაიცვალა შვეტსბერგში, 12 დეკემბერს.

ინგლისში შეჭრა

თუდასნებში გაგრძელდა, სვენი ხარკსაც აკისრებდა ინგლისს, დანიური ოქროს სახით კარგა ბლომად თანხასაც იღებდა მეფისგან. 1013 წელს კნუდი ინგლისში ლამპრობისას თანახლა მამას. ჯერ დანელაგი აიღო, მერე ქვეწის სხვა მხარეებშიც შეიჭრა. ეთელრედი ნორმანდიაში გაიქცა. ანგლოსაქსური ქრონიკა გვიამბობს, მთელმა ერმა ის [სვენი] მეფედ აღიარაო.

როდესაც ერთი წლის შემდეგ სვენი გარდაიცვალა, ეთელრედი დაბრუნდა სამშობლოში და განდევნა დანიელთა ჯარი, რომელსაც კნუდი სარდლობდა.

კნუდი 1015 წელს დაბრუნდა და ეთელრედის სიკვდილის შემდგომ, 1016 წელს, საუთკემპტონის მეფედ აკურთხეს. მაგრამ ლონდონი მეფედ ეთელრედის ვაჟს, ედმუნდ რეინისმხარას აღიარებდა, რომელიც 18 მარტს ასანდუნის ბრძოლაში დაამარცხა და სამეფო ორად გაიყო.



ეს სტელა გავუსწვებს, დანიელებმა როგორ აიძულეს ინგლისელები ხარკი გადაეხადათ



ქართული „ისტორიანი“ წარმოგიდგავთ!

ლევან გოთუა

**ლევან გოთუას მიერ
გადასასწავლი დაფარული
ქართულენოვანი გიორგის დროება.**

8 ნიგნად!

ნიგნი III

**გიორგია
პარაგი**

3 ნიგნი



„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეიძლება შეიძინოთ „გიორგია ვარამის“ თითო ნიგნი (ნიგნის ფასი 3 ლარი)

ოლნის ზავით დანელავი და მდლანდი კნულს ერგო, ედმუნდს კი სამხრეთი დარჩა. მაგრამ ედმუნდი 30 წლისმოქმედს გარდაიცვალა. ამან გზა გაუხსნა კნულს და სრულიად ინგლისის ვიკინგი მეფე გახდა. 1017 წელს მან ეთელრედის ქვრევი, ემა შვიროთი ცოლად, რათა მისი ორი ვაჟისგან მომავალი პოტენციური საფრთხე აცილებინა თავიდან. ისინი ნორმანდიაში იზრდებოდნენ.

დანიის მუშუ

კნულის ძმა, დანიის მეფე პარალდი, 1018 წელს გარდაიცვალა და კნული შინ დაბრუნდა მეტკვიდრუბობის მისაღებად. ორი წლის შემდეგ კნულმა გაანახლა დანიის პრეტენზიები ნორვეგიაზე. ამბოხება რომ აცილებინა თავიდან, დი-

დებულები მოქრობა, ნორვეგიის მეფე ოლავ II ჩამოაცილა ტახტს და თავისი უკანონო ცოლი ელფგოფუ და ვაჟი სვენი დანიშნა ქვეყნის მმართველებად.

კნულს შოტლანდიაც დამორჩილდა. პოლიტიკური ერთიანობის განსამტკიცებლად დანელავის საზღვრებიდან ვეულა ოხრილი, საფორტიფიკაციო კედელი და თავდაცვითი ნაგებობა მოაშორებინა, რაც ამ მხარეს ინგლისისგან აცალკევებდა. ამის მეურ თომს გაემგზავრა, პაპის კურთხევის მისაღებად.

როგორც ვიკინგთა სამშობლოს მმართველმა, ინგლისზე თავდასხმა, სულ ცოტა, ოცი წლით ადკვეთა, რაც ვაჭრობის ასავაგებლად საქარისი აღმოჩნდა. კნული პირველი მეფე იყო, რომელმაც ინგლისი გარე საფრთხისგანაც დაიცვა და შინაპატივობისგანაც. ის პატრუს სცემდა ადამიანის

უფლებათა დამცველ ძველ ინგლისურ კანონებს. მან თავი იმითაც ისახელა, რომ ვიკინგი წინაბრების შედეგობები გამოასწორა, ეკლესიების მშენებლობა და მათი მუდმივი შემოსავლებით უზრუნველყოფა დაიწყო.

კნული 1035 წელს, ორმოცი წლისა გარდაიცვალა. ის ვინესტრემი დაკონტაქტეს, რომელიც იმხანად უეკსების საქონთა დედაქალაქი იყო. მისი ვაჟების ხელში მის მიერ შექმნილი ანგლოსკანდინავიური იმპერია იშპადა. ელფგოფუს მეორე ვაჟი პარალდი ინგლისის მეფე გახდა, მაგრამ 1040 წელს გარდაიცვალა. კნულის კანონიერი ვაჟი პარდუკნული 1035 წელს დანიის მეფე გახდა, შემდგომ კი ინგლისსაც მართავდა 1042 წლამდე. ანგლოსკნული ქრონიკა მასზე ამბობს: „მეფობისას დიღრბული არაფერი გაუკეთებია“. არც ერთ მის ვაჟს მეტკვიდრე არ დარჩენია. მისი კანონიერი ცოლის, ემას ვაჟი — ედუარდ აღმსარებელი, რომელიც ეთელრედის შვილი იყო, 1042 წელს ნორმანდიიდან დაბრუნდა ტახტზე ასასვლელად.

მიძვამის მოძვამად ძვამა

● კნულმა შეიტყო, რომ მისი ერთ-ერთი პირმოთე ვარამისკაცი იკებინდა, იმისთანა მეფე გვევავს, ზღვასაც კი უბრძანებს მიქცევა მოქცევად აქციოსო. მაგრამ კნული მოწმუნე კაცი იყო და თავისი ნაკლიც იცოდა. მან თავისი ტახტი ზღვარე წაიღო და ზედ დაჯდა, მერე ტალღა უბრძანა, შეჩერდით. მას ამით იმის ჩვენება სურდა, რომ რაოდენ ძლიერაკითხინც უნდა ჩანდნენ მეფენი კაცთათვის, ისინი მაინც სუსტნი არან უფლის წინაშე. თმცა, თავგამოდებამ უმტყუნა. წლებს მერე დიმილით იხსენებდა, თუ როგორ სცადა ტალღების მოძრობის შეჩერება.

● მართალია, კნული აშკარად ქრისტიანი მეფე იყო და პაპიც პატრუს სცემდა, მაგრამ როდესაც 1014 წელს ინგლისიდან გადიოდა, თავისი საშინლად დასახიზრებელი მძველები სუნდვარის სანაპიროზე გადმოყარა. გარდა ამისა, მისი ხელით ერთა არაერთი პოლიტიკურ მკველლობამიც. როცა უკვე ორი შვილი — პართკნული და გუნპილდი ჰყვოდა ემასგან, ინგლისელი ელფგოფუსგან პარალდი და ხვენი უფლი.

მოამზადა
ლევან ინსარაძემ



HK4

„კეკელი უნდ კოჰის“ პირველი პისტოლები

ოთხ სხვადასხვა კალიბრზე გათვლილი გერმანული საპოლიციო იარაღი



მსოფლიო საიარაღო ბაზარზე დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ცნობილი გერმანული ფირმა Heckler und Koch-ის პისტოლეტები, პისტოლეტ-ტყვიამფრევეები თუ ავტომატები.

თუმცა, ბევრს არ ეცოდინება, რომ ამ ფირმამ პირველი პისტოლეტი მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებში მიწურულს შექმნა და ისიც მთორე მსოფლიო ომამდე „მაუზერის“ პისტოლეტის ბაზაზე ააწყო.

პირველი პისტოლეტი ამ გერმანულმა საიარაღო ფირმამ HK4-ის სახელწოდებით 1967 წელს გამოიშვა

და მის პროტოტიპს საფუძვლად 1937 წლის მცირეკალიბრიანი Mauser HSC დაედო. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან HK4-ის პროტოტიპის ერთ-ერთი კონსტრუქტორი ალექს საიდელი ჰიტლერის რეჟიმის დროს „მაუზერის“ ქარხანაში მუშაობდა და მონაწილეობდა Mauser HSC-ის შექმნაში.

„მაუზერის“ ფირმამ უარი განაცხადა პატენტის გაცემაზე, ამიტომ ურთიდაული პრობლემების გამო HK4-ის პროტოტიპის სერიული წარმოება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ეს მოდელი 1952 წელს იყო მზად.

ამ და სხვა მიზეზების გამო „კეკ-

ელი უნდ კოჰის“ პირველი მცირეკალიბრიანი, თვითდამტენი პისტოლეტის სერიული წარმოება შედარებით დაგვიანებით, 1968-1984 წწ-ებში მიმდინარეობდა და იყოფიდა როგორც ვერპის, ისე აშშ-ის იარაღის მაღაზიებში.

ომამდელი „მაუზერის“ პისტოლეტისგან განსხვავებით, HK4-ი ოთხი სხვადასხვა კალიბრის ვაზნის გამოყენებაზე იყო გათვლილი და იარაღის მფლობელს თავადაც შეეძლო შეეცვალა პისტოლეტისთვის ლულები და მჭიდები. სხვათა შორის, პისტოლეტის დასახელება HK4-ში, ციფრი „4“ სწორედ ოთხ სხვადასხვა კალიბრზე მიუთითებს.

პირველი სამი კალიბრის ვაზნები იყო: 6,35X16 მმ, 7,65X17 მმ და 9X17 მმ, მოკლე „ბარუნნი“. მთითვე კალიბრი 5,6 მმ ე.წ. გეკოს ვაზნაზე იყო გათვლილი, მაგრამ რადგანაც ამ ვაზნის კაფსულის ააღება არა ცენტრში, არამედ წრეზე ხდება, შესაბამისად, საჭირო იყო HK4-ის საკეტში დამკემის რეგულირება.

რამდენად მიზანშეწონილი და მოსაზრებელია, რომ მაინცდამაინც ერთი პისტოლეტი გქონდეს ოთხი სხვადასხვა კალიბრის ვაზნისთვის, ცოტა საკამათია, თუმცა ნახევარი საუკუნის წინ, ალბათ, ეს გამართლებულად მიანდათ.

HK4-ის ავტომატიკის მოქმედების სქემა თავისუფალი საკეტის უკუცემის ენერჯის იყენებს, ხოლო საკეტის

HK4-ი ოთხი სხვადასხვა კალიბრის ვაზნის გამოყენებაზე იყო გათვლილი და იარაღის მფლობელს თავადაც შეეძლო შეეცვალა პისტოლეტისთვის ლულები და მჭიდები



უკან დამაბრუნებელი ზამპარა ლულის გარშემოა მოთავსებული, რითაც ამ პისტოლეტის კონსტრუქცია ძალიან პგაეს როგორც Mauser HSC-ს, ისე Walter PP-ს და PPK-ს და სპეკოთა PМ „მაკაროვა“ და PСM-ს.

თუკა თავისი მცირე გაბარიტების გამო HK4-ის დაეუნება PPK-სა და PСM-ს გვერდით უფრო უპრიაინ იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ლულების სიგრძე ფაქტობრივად ერთნაირია — 85 მმ (HK4), 84 მმ (PPK) და 85 მმ (PСM). ამ პისტოლეტების მთლიანი სიგრძეები კი შესაბამისად 157, 154 და 155 მმ-ია.

თუკი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თხელი პისტოლეტი PСM (ძისი სისქე მხოლოდ 18 მმ-ია) სპეცია-



Mauser HSC



PCМ



Walter PPK

ლურად KГБ-ს აგენტებისთვის შეიქმნა ვიბეში ძალულად სატარებლად, HK4-ის კლიენტები თავიდანვე გერმანიის საბაჟოს პოლიციელები გახდნენ. სულ გამოშვებულ 36 ათასი HK4-დან მთი 12 ათასამდე შეიძინეს.

მისი მფლობელების თქმით, საკმაოდ დიდი ძალის მფლობეა საჭირო სასხლეტზე, ჯერ ჩახმახის შესაყენებლად და მერე გასროლისთვის, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სროლის სიზუსტეზე. მორე მხრივ, თუკი ჩახმახს სასხლეტით არა, არამედ თითო შეაყენებ, მაშინ ეს პრობლემა იხსნება და პირველი ტყეაიც ზუსტად მიხსნენ მდის. სხვათა შორის, იფეე პრობლემა სხვა ორმაგი მოქმედების პრინციპის პისტოლეტებსაც აქვს (ორმაგი მოქმედება ნიშნავს, რომ ჩახმახის შეყენება სასხლეტის თითო მოზიდვით შეიძლება), მათ შორის „მაკაროვსაც“.


HK4-ს ხელის დამცველი იარაღის მარტეჩნა მხარეზე პატარა ბერკეტის სახით აქვს და მისი ჩართვის დროს შეყენებული ჩახმახი ეშვება, ოღონდ გასროლა არ ხდება, რადგან ჩახმახი არ ეცემა ნემსს.

გარდა ამისა, პისტოლეტზე დამონტაჟებულია ავტომატური დამცველიც, რომელიც სასხლეტის ბლოკირებას ახდენს, როდესაც მჭიდი პისტოლეტიდან ამოღებულა.

ვაზნების გათავების შემდეგ საკეტი უკედურეს უკანა მდგომარეობაში ფიქსირდება, ისევე როგორც „მაკაროვზე“, თუკა „მაკაროვში“ ვაზნეზანი ახალი მჭიდის ჩადე-



გასული საუკუნის 60-იანი წლების პოლის HK4-ი ტიპის პისტოლეტი ასეთი დამატებითი აქსესუარებით იფიდებოდა



ბის შემდეგ საჭიროა საკეტის შემაკავებლის თითოთ ჩამოწევა. HK4-ში კი ახალი მჭიდის ჩადებისათვის საკეტი ავტომატურად წინა მდგომარეობაში ბრუნდება და ვაზნას სავაზნეში გზავნის.

ჩვენი ღონისძიება: HK4-ის სიგრძე 157 მმ-ია (ლულის სიგრძე — 85 მმ, სიმაღლე 110 მმ, სიგანე კი 32 მმ). პისტოლეთი უმჭიდლოდ 480 გ-ს იწონის. მჭიღში შეიძლება ჩავიდეს 5,6 მმ; 6,35 მმ და 7,65 მმ კალიბრის რვა ან 9 მმ კალიბრის 7 ვაზნა.



HK4-ი ტიპის პისტოლეთი კტილიში


HK4 დახვეწილი ფორმით ნამდვილად გამოირჩეოდა თავისი დროის პისტოლეტებისგან, მაგრამ XXI საუკუნეში იგი აღარ შეესაბამება საიარაღო მოვლას. მასში არ არის გამოყენებული კომპოზიციური მასალები, მჭიდში ვაზნები მხოლოდ ერთივად ქეჩობა და მასზე ვერ დამაგრებ დღეისათვის ასევე პოპულარულ სხვადასხვა საიარაღო აქსესუარებს — ტაქტიკურ ფარასა თუ ლესერის მიზანმიმართულს.

იირაკლი ალადაშვილი



HECKLER & KOCH

ჩვენი ღონისძიება: გერმანული საიარაღო კომპანია Heckler und Koch GmbH 1949 წელს დაარსდა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა გაანადგურეს Mauser-ის ფირმის ქარხანა. 1956 წლამდე ეს ფირმა ძირითადად სამოქალაქო პროდუქციას აწარმოებდა დანგრეული გერმანიის ეკონომიკის ასახორმინებლად. 1959 წელს ბუნდესვერმა შეიარაღებუმა მიიღო ამ ფირმის ავტომატური შაშხანა G3. 60-იანი წლების შუახანებიდან „ჰექლერ უნდ კოჰს“ სახელი გაითქვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული MP5-ის ტიპის პისტოლეტ ტყვეთაფრთველების სხვადასხვა მოდიფიკაციის გამოშვებით. 90-იან წლებში ფირმაში შეიქმნა უნიკალური ავტომატური იარაღი G11, რომელიც უკლებლივ 4,7 მმ კალიბრის ვაზნების გამოყენებაზე იყო გათვლილი. G11-ს შეიძლება რეოლუცია მოეხდინა საიარაღო საქმეში, მაგრამ „ციფო ომის“ დამთავრების გამო ბუნდესვერი არ დაინტერესდა ამ იარაღით, რამაც „ჰექლერ უნდ კოჰს“ ფირმა გაკოტრების წინაშე დააყენა. ფირმა ბრიტანელებმა შეიძინეს და მისი ინჟინერების უდიდესი გამოცდილება პრობლემატური ბრიტანული ავტომატური შაშხანა L85A1-ის სრულყოფილთვის გამოიყენეს. 2002 წელს ფირმა ისევ გერმანელმა კერძო ინვესტორებმა გამოიხდელს, რასაც დამოუკიდებელი მისი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი G36 ტიპის ავტომატური შაშხანის წარმატება იარაღის მსოფლიო ბაზარზე.



1-50

F1557
2012



ՀԱՅԿԵՆԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

HK4